ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

№ 15. 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1922 ᲬᲚᲘᲡ. № 15.

ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ 24 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲐ.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ.

კარგი ნიშნებით დაიწყო ქართველ ხალხისათვის 1921 წელი. 27 იანვარს საქართველო ცნობილ იქნა ევროპის მიერ საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიან წევრათ. ამაზე კიდევ უფრო ადრე, 1920 წლის 7 მაისს მისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი სუვერენობა იცნა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ. ამით თითქო განხორციელდა ქართველი ერის ერთსულოვანი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი; ამიერიდან თითქო მას გზა გაეხსნა მშვიდობიანი კულტურული ცხოვრებისა, მუშაობისა და შემოქმედებისა საკუთარ სახელმწიფოებრივ ფორმაში. მაგრამ არ გასულა სულ რამოდენიმე კვირა მისი იურიდიულათ ცნობის შემდეგ, რომ საბჭოთა რუსეთი მოღალატურათ, პირდაპირ ქურდულათ, სხვისი სახელით თავს დაესხა მრავალრიცხოვანი ურდოებით ახლად აღორძინებულ პატარა რესპუბლიკას და ერთი თვის უსწორო ბრძოლის შემდეგ იგი დაიპყრა. წითელმა იმპერიალისტებმა რევოლიუციის სახელით ჩაიდინეს უდიდესი რეაქციონური აქტი: მშვიდობის მოყვარულ ერის მკვლელობა.

უძნელეს პირობებში იშვა საქართველოს რესპუბლიკა. 3 წლის დამოუკიდებელი არსებობობის დროს არ ყოფილა არც ერთი წამი, რომ მას წინ არ სდგომოდეს ხან ერთი, ხან მეორე საფრთხე; მაგრამ ქართველი ხალხი, მუშათა დემოკრატიის მეთაურობით, მედგრათ იგერიებდა მტრის იერიშებს და ამავე დროს შინ ბეჯითად ეწეოდა უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობას. არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი დარგი, რომელსაც ინტენსიური მუშაობის ღრმა კვალი არ დასჩენოდა. თითქო ქართველი ხალხი ცდილობდა ასი წლის დანაკლისის ერთბაშათ შევსებას.

მარა მოსკოვის იმპერიალისტებს ძილს უფრთხობდა მის გვერდით დემოკრატიული საქართველოს არსებობა. ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ კავკასიის ერებს საქართველოს არსებობა იმედებს ულვიძებდა და თავისუფლებისადმი მისწრაფებას უძლიერებდა. ამასთან, ყველა ხედავდა დემოკრატიულ წყობილების უეჭველ უპირატესობას საბჭოთა სისტემის წინაშე. თავისუფალი საქართველო რუსეთის «სოციალისტური» რესპუბლიკისათვის ისეთივე «კბილის მატლი» შეიქნა, როგორც ერთ დროს თვითმპყრობელ რუსეთისათვის კონსტიტუციონური ფინლიანდია იყო.

და აი, დაიწყო კომპანია საქართველოს წინააღმდეგ. პირველათ საბჭოთა რუსეთი შეეცადა საქართველოს დემოკრატიული წყობილების შიგნიდან აფეთქებას. აუარებელ ფულებს ხარჯავდა ის თავის აგენტებზე საქართველოში. საბჭოთა მისიები გადაიქცა პროპაგანდა-აგიტაციისა და აჯანყების ცენტრებათ. მაგრამ ამაოთ ჩაიარა ყოველმა ცდამ: ქართველი მუშა და გლეხი არ აყვა ბოლშევიკების ლამაზ დაპირებებს. მათი «გამოსვლების» ცდა ყველგან მათდა სამარცხვინოთ დასრულდა. მოსკოვისათვის აშკარა შეიქნა, რომ ქართველი ხალხის ნებით გადაბირება შეუძლებელი იყო. დაიწყო ხანა პროვოკაციებისა და მუქარის. ატეხდა საშინელი კამპანია საბჭოთა პრესაში საქართველოს წინააღმდეგ. ამავე დროს ბოლშევიკებმა მიითვისეს საქართველოს კუთვნილი სამაშრუტო მატარებელი და ურცხვათ გასთელეს მოსკოვის და აქსტაფის ხელშეკრულებათა მუხლები. მარა როცა არც ამ პროვოკაციულმა ოინებმა გასჭრეს, მაშინ შეუდგენ სამხედრო მზადებას.

და აი გასული წლის 11 თებერვლიდან ომის გამოუცხადებლათ ომი აუტეხეს საქართველოს.

იგი დაიპყრეს. და ეგონათ, რომ ამით ქართველი ხალხი საბოლოოთ დაიმორჩილეს. მაგრამ აქაც სასტიკათ მოსტყუვდენ. მალე ერთი წელიწადი შესრულდება, რაც საქართველოს ოკუპაცია მოხდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში ბოლშევიკებმა სცადეს ყველა ის ხერხი, რითაც შიდა რუსეთის ხალხი გასტეხეს და დაიმორჩილეს. მიუხედავათ ლიბერალური დაპირებებისა, საქართველოში მათ ფართეთ გამოიყენეს ტერორისტული რეჟიმის მეთოდები. მარა ამაოთ. ქართველი მუშა, გლეხი, მთელი ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი აღჭურვილია დამპყრობელებისადმი უდიდესი სიძულვილით და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩუმი თუ აშკარა წინააღმდეგობითა და პროტესტებით ხვდება მათ. საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლის შემდეგ ქართველ ხალხსა და ბოლშევიკებს შორის გადაუვალი კედელი აღიმართა. ქართველმა საზოგადოებამ საოცრათ გაამარტოვა ბოლშევიზმი ჩვენში. და გაამარტოვა ის მან არა მარტო, როგორც უხეირო სოციალ-პოლიტიკური მიმართულება, ქართველი ერის კულტურისა და ეკონომიურ ცხოვრებასთან შეუხამებელი, არამედ კიდევ უფრო როგორც უცხო ძალა, რომლის ბატონობა მას არ სურს მიიღოს და არც შეურიგდება არასოდეს. ამაშია სწორეთ ქართველი ერის უდიდესი ძალა და ეს არის უპირველესი თავდები იმისა, რომ იგი კვლავ დაიბრუნებს თავისუფლებას და აღადგენს მექანიკურათ შეწყვეტილ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

ამ ნაირათ, არ გამართლდა მოსკოვის აგენტების—მახარაძისა და კომპ. იმედები, რომ წითელ არმიელებით დაპყრობილ ქართველ ხალხს «მოაქცევდენ» მოსკოვის დიქტატორების ჭკუაზე. გასულმა წელმა ყველასათვის დასანახათ გამოააშკარავა ჩვენი ერის ძლიერი მისწრაფება უცხო უღლის კისრიდან გადაგდებისა და თავისუფლების მოპოებისადმი. სამხედრო ფრონტზე წამებულ ბრძოლას ქართველი ხალხი განაგრძობს შიგნითა და გარეთ. ის არ არის გულხელდაკრეფილი. იგი არ ემორჩილება თავის დღევანდელ ბედს და, მიუხედავათ ენით გამოუთქმელ დევნა-შევიწროებისა და საშინელი გაჭირვებისა, იგი მუშაობს, იბრძვის, ცოცხლობს იმედით, რომ დაბოლოს მტერს სძლევს და ტყვეობას თავს დააღწევს.

ამ ნაირათ, საბჭოთა რუსეთის სამხედრო გამარჯვება დათავდა საქართველოში მისი სრული პოლიტიკური დამარცხებით. წითელ არმიელთა ხიშტებით დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება ცხადათ გრძნობს, რომ ჩვენი ქვეყნისათვის იგი სრულიად უცხოა, რომ იგი დღეს არის და ხვალ შეიძლება არ დარჩეს.

მაგრამ ქართველი ხალხი ამ ბრძოლაში არ არის მარტოდ-მარტო. მის მხარეზეა დღეს უდიდესი სიმპატიები მთელი განათლებული კაცობრიობის. კიდევ მეტი. მის განმათავისუფლებელ ბრძოლას მხარს უჭერს ევროპის თანამედროვე დემოკრატია, რომელიც დიდი პოლიტიკური და მორალური გავლენით სარგებლობს და რომლის ძალა დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება. მან მიზნათ დაისახა საქართველოს გამოგლეჯა წითელი იმპერიალისტების ბრჭყალებიდან.

სწორეთ ამ დაპყრობის ხანაში საქართველოს საკითხმა უდიდესი პოპულიაროობა მოიპოვა. ქართველ ერს დღეს გაცილებით მეტი საიმედო მეგობრები ყავს, ვინემ ეს იყო მისი დამოუკიდებელი არსებობის დროს. მისი დემოკრატიის მისწრაფებას ამ ჟამათ გაცილებით უკეთ იცნობს მთელი განათლებული კაცობრიობა, ვინემ წინეთ იცნობდა.

ამნაირათ, წინააღმდეგ დამპყრობელთა სურვილისა, მიუხედავათ ქვეყნის ოკუპაციისა, საქართველოს საკითხი არ მოხსნილა საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგიდან, ის ისევ დგას როგორც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც გადასჭრის არა მარტო ქართველი ერისა და ოკუპანტების შორის წარმოებულ ბრძოლის შედეგი.

ამაშია მეორე ძლიერი მხარე ქართველი ერის პოზიციისა.

ამავე დროს დამპყრობელი, შიგნით დასუსტებული, დანგრეული, დამშეული და გაღატაკებული სხვას უწვდის ხელს საშველათ, რომ საშინელ კატასტროფას რამენაირათ თავი დააღწიოს. რაც დრო გადის ის თანდათან სუსტდება ეკონომიურათ და აქედან, რასაკვირველია, პოლიტიკურათაც დაკარგავს ძალას არა თუ სხვებზე ბატონობისას, არამედ თვით თავის თავის მოვლისა და პატრონობის უნარსაც. ახალი წელიწადი მისთვის იქნება წელიწადი ახალი დამარცხებისა და კაპიტულიაციის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გარემოება კიდევ უფრო აცხოველებს ჩვენს იმედებს და აძლიერებს საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობას.

ახალი წელი საქართველოსთვის იქნება, ის უნდა იქნეს, წელი გამარჯვებისა და განთავისუფლების.

ამ ღრმა რწმენით აღტურვილი მივესალმებით შორეული უცხოეთიდან ჩვენს მკითხველებს დაიმედებული იმაში, რომ ჩვენ დაბოლოს საშვალება მოგვეცემა მივულოცოთ მას განთავისუფლება!

რუსეთის აღდგენა და საქართველო.

დანგრეული რუსეთის აღდგენა და იქიდან ნედლი მასალის გამოტანა მორიგ საკითხათ იქცა დღეს ევროპისათვის. ამ უზარმაზარი, აუცრაცხელი ნედლი მასალით სავსე ქვეყნის მოწყვეტა თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობიდან, მეტის-მეტათ საგრძნობია ყველა ქვეყნის მეურნეობისთვის.

F 11819

რუსეთის დღევანდელი ბატონები ამ ფაქტზე —ესე იგი ევროპისთვის რუსეთის მასალის და ბაზრის საჭიროებაზე, აჩყარებდენ თავის იმედებს და განზე გადგომილ ევროპის სახელმწიფოებს დამშევით ემუქრებოდენ. მუქარა რამდენიმეთ სწორი აღმოჩნდა, მაგრამ ამ მიუკარებლობაში ყველაზე მეტათ დაზარალდა და ყველაზე ადრე სასოწარკვეთილებამდე მივიდა თვით რუსეთი და არა დასავლეთ ევროპა.

შიმშილით ამოწყვეტა მთელი რაიონების უკვე ფაქტია რუსეთში, მაშინ როდესაც ევროპას მართალია მრავლათ ეკავს უმუშევრები და ბევრი კაპიტალი უცდება, მაგრამ რუსეთის მდგომარეობისაგან იგი ისე შორსაა, როგორც ცა დედამიწისაგან.

ამიტომ ევროპა კი არ მიდის რუსეთთან ქედის მოსახრელათ, როგორც ეს კრემლის ბატონებს ეგონათ, არამედ ლენინი და კომპანია იჩოქებენ ევროპის კაპიტალის წინაშე, რომელსაც კომუნისტური შელოცვებით და ჩეკას ტეროორით უპირებდენ დანგრევას და განადგურებას.

ასე თუ ისე, ევროპა შეუდგა თავის დაქვეითებულ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების პრობლემის გადაჭრას და ამ პროცესში დადგა რუსეთის საკითხი, როგორც აუცილებელი პრობლემა, რომლის გადაჭრით შეიძლება ახალი, ფართე ასპარეზის მიცემა ევროპის კაპიტალისათვის განსავითარებლათ და მოგების მოსახვეჭათ.

მაგრამ რა გზით შეიძლება რუსეთის აღდგენა?

სადაა ასეთი ძალა?

ევროპის ერთი რომელიმე სახელმწიფოსთვის ამის მინდობა, დანარჩენებს თავისთვის სახიფათოთ მიაჩნია. კანონი მეტოქეობის და გაძლიერების სურვილის, რომელიც ყველა სახელმწიფოს ბურჟუაზიას თანაბრათ ამოქმედებს, არ აძლევს მათ ამის საშვალებას. თავისუფალი კერძო ინიციატივისთვის მინდობა ამ უდიდესი სამუშაოსი შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ რუსეთში სათანადო პოლიტიკური პირობები იყოს კაპიტალის ნორმალური მუშაობისათვის. მაგრამ საბჭოთა სისტემა ასეთ პირობებს ვერ იძლევა. და აი ასეთ პირობების შესაქმნელათ, ან ყოველ შემთხვევაში საბჭოთა სისტემის უარყოფით მხარეების სანეიტრალიზაციოთ, აუცილებელია ჩარევა ევროპის სახელმწიფოების, მათი მთავრობების და აღდგენის საკითხის სახელმწიფოებრივ საკითხათ გამოტანა.

ჩვენ ვხედავთ, რომ გამარჯვებული სახელმწიფოები უკვე შეუდგენ ამ საკითხს. მაგრამ აქ წინ გადაეღობათ მათ ერთი პრობლემა კიდევ: ინგლის-საფრანგეთ-იტალიის მეცადინეობა საკმარისი არ იქნება ამ დიდი რუსეთის მოსაწყობათ. საჭიროა თვით რუსეთისთვის და ევროპისთვისაც, რომ ამ საქმეში ახლო მონაწილეობა მიეცეს გერმანიას. ამას აქვს გარდა ამისა სხვა მიზეზებიც: გერმანია დღეს მსოფლიო ბაზრიდან განდევნილია, როგორც დამარცხებული, მაგრამ მისი დიდი ეკონომიური როლი ევროპის ცხოვრებაში ჯერაც ვერავის დაუჭერია. არც არის მოსალოდნელი, რომ ამ 70 მილიონიან ხალხის დამშევასა და უმოქმედობაზე ააგოს ევროპის კეთილ-დღეობა. ამიტომ რუსეთის საკითხში იგიც უნდა იყოს ჩაბმული. ამით გერმანიაც წელში გაიმართება, და იმ ვალდებულების შესრულებაც შედარებით გაადვილდება, რომელიც მას ვერსალის ხელშეკრულებამ დაადო გამარჯვებულ სახელმწიფოთა სასარგებლოთ.

საქართველოს პარლამენტის

ეს დადებითი მხარეა გერმანიის მონაწილეობის რუსეთის აღდგენაში. უარყოფითია ის, რომ მისი გაძლიერებით, შეიძლება რევანშის სურვილი გაღვივდეს და ახალი ომის საფრთხე წარმოიშვას, რასაც გაურბის საფრანგეთი. მაგრამ ამ საშიშროების თავიდან აცილება შეიძლება ინგლის-საფრანგეთის თავდაცვითი სამხედრო კავშირით, რომელიც უკვე ფაქტი ხდება.

ამ რიგად ევროპის მოწინააღმდეგე ბანაკები, გუშინდელი მეომარნი და მტრები ერთდებიან რუსეთის უვრცელესი ბაზის დასაპატრონებლათ.

თვით რუსეთს, მის შინაგან ძალებს ამ აღდგენაში ძალიან მცირე, ან თითქმის არავითარი ადგილი არ უჭირავთ. ისინი საფუძვლიანათ ამოაგდო და ააოხრა კომუნიზმის ბარბაროსულმა პოლიტიკამ.

და ახლა ისმება საკითხი, რა გარანტია აქვს უცხო კაპიტალს რუსეთში ნორმალური მუშაობის?.. და ან შეუძლია თუ არა მას ერთბაშათ მთელ რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიას მოედვას და ყოველგან წარმოების გაჩაღება დაიწყოს?

პირველ საკითხს სწყვეტს ერთი მხრით საბჭოთა პოლიტიკის და წყობილების შეცვლა, მათი ევროპიულ წყობილების ფორმებთან დაახლოვება, რამდენიც ეს შესაძლებელია. მაგრამ ბოლშევიკები სწორეთ ამას გაურბიან, რადგან საბჭოთა ტერორისტული სისტემა მათი დიქტატურის მიუცილებელი პირობაა, და მისი დასუსტება ან გარდაქმნა—თვით კომუნისტების უცილობელ დაცემას გამოიწვევს. მათ კი ასეთი თვითმკვლელობა არ ეხერხებათ. ისტორიისგან განწირულები—დღეს მაინც ძალა-უფლებას ებღაუჭებიან, როგორც მომაკვდავი ჭლექიან სიცოცხლეს...

სამაგიეროთ ბოლშევიკები მზათ არიან ეკონომიური გარანტიებით დააკმაყოფილონ ევროპის კაპიტალი. მართალია მარქსისტული თვალსაზრისით აბსურდია, ეკონომიური საფუძვლის შეცვლა და პოლიტიკური ზედნაშენის ხელუხლებლათ დატოვება, მაგრამ რუსეთის კომუნიზმმა დიდი ხანია დაკარგა ლოგიკური მსჯელობის უნარი. იგი მხოლოდ სიცოცხლის რამდენიმეთ გახანგრძლივებაზე ცდილობს და თავს «დროებით უკან დახევის ტაქტიკით» ინუგეშებს.

მაგრამ ევროპის კაპიტალისა და თვით რუსეთის განაწამებ ხალხისა და განსაკუთრებით ბოლშევიკებისგან დაშინებულ და დაჭყლეტილ განაპირა ერებისთვის საკითხი სულ სხვა გვარათ სდგას.

რუსეთის ერთბაშათ აღდგენა შეუძლებელია. იგი უნდა ზონებათ დაიყოს, თვითეულ ზონაში ამა თუ იმ ევროპიელ სახელმწიფოს განსაკუთრებული დავალებები და უფლებები მიეჩინოს.

ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, თავისთავათ ცხადია, პატარა ერები, და განაპირა ადგილები, სადაც ბოლშევიზმს ძლივს ითმენენ, და სადაც ევროპიელთათვის მისვლა ადვილია ზღვის გზით, პირველ ყოვლისა უნდა გახდეს საზრუნავი საგანი აღმდგენელი მუშაობის.—ეს გახდება საფუძველი რუსეთის დაყოფის და დანაწილების, მის შემდგენელ ნაწილებათ, გაჰკიკვიან ველიკოროსიის ყველა ჯურის ნაციონალისტები?

შეიძლება გახდეს, ჩვენ არ ვარკვევთ ამას. მაგრამ განა ველიკოროსიას აქვს უფლება ეს წითელ ხიშტით დაშინებული და ძალათ გაღატაკებული ხალხები ისევ თავის უღელ ქვეშ ატაროს იმ მიზნით, რომ ის ოდესღაც ფეხზე წამოდგება? განა ამ განაპირა ერებს არა აქვთ თავის დამოუკიდებელი ღირებულება და უფლება თვითგამორკვევის?

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორეთ ეს უფლება უნდა დაედვას საფუძვლათ რუსეთის ერთა აღდგენის პროცესს.

მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მათ შორის საქართველო, რომელთაც შექმნეს რევოლიუციის პროცესში თავის დამოუკიდებელი არსებობა—მოითხოვენ, რომ მათ მოძალადეთა უღელი ჩამოშორდეს და ეკონომიურ განვითარებისა და კულტურული წარმატებისათვის თავის ძალღონის გამოყენების საშვალება მიეცეს.

ასეთ თავისუფალ ცხოვრების პირობებში ეს ქვეყნები მალე და ადრე შესძლებენ დანგრეული წარმოების აღდგენას და რუსეთის საერთო განახლებაც ამით დაჩქარებული იქნება. ამ კუთხეებში ბოლშევიზმის დატოვება და ასე მისი ხელოვნურათ გაძლიერება იქნებოდა განზრახ დაბრკოლებების დატოვება აღმდგენელი მუშაობის გასაძნელებლათ. განსაკუთრებით ეს ითქმის იმიერ და ამიერ კავკასიაზე, სადაც ყველა ერი: ქართველი, სომეხი, თათარი, ყაზახობაც დამოუკიდებელ ანტიბოლშევიკურ პოზიციაზე დგანან და რუსეთისგან გამოყოფას მოითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინა და სხვა განაპირეებიც მათ მსგავსათ მოითხოვენ ბოლშევიკების ულლის მოცილებას.

ევროპის კაპიტალი ამ ადგილებში ვერ იმუშავებს, სანამ იქ გარედან მოსულ ბოლშევიკების დიქტატურა მეფობს და «წითელი» ხიშტი ნავარდობს.

საპატრონო და მოსავლელი, ველიკოროსია ვერ დარჩება სხვის მომვლელის და პატრონის როლში. ასეთია თეევანდელი დღის და ცხოვრების მიუცილებელი მოთხოვნილება. ევროპის დემოკრატიას ეს კარგათ აქვს შეგნებული და იგი ერთსულოვნათ ამტკიცებს საქართველოს მაგალითზე, რომ «წითელ კომუნისტურ» მოძალადეების უხეში იმპერიალიზმი მათთვის სრულიად მიუტოვებელია და დასაგმობი. ევროპის ბურჟუაზიულმა წრეებმაც, თუ საკაცობრიო იდეალებით არა, რომელზედაც მათ ლაპარაკი უყვართ, წმინდა ეკონომიური მოსაზრებით მაინც უნდა მხარი მისცენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რაც დღეს ნიშნავს ბოლშევიკების დამარღვეველი გავლენისაგან თვითგამორკვევის.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება რუსეთის აღდგენა.

საქართველოს განთავისუფლების საკითხიც, რომლის ძალმომრეობით და ვერაგულათ დაპყრობა დღეს ყველასათვის აშკარა და უდავოა, უნდა პირველ ყოვლისა იქნეს განთავისუფლებული ამ გამანადგურებელი ჩრდილოეთის ძალებისაგან. საქართველო ცნობილი იურიდიულათ თვით რუსეთის მიერ, და ცნობილი ევროპიელი სახელმწიფოებისაგან, რომელი საბუთით, რის გულისთვის უნდა გადაებას შიდა რუსეთის ველიკოროსულ იმპერიალიზმს?

თუ რომელიმე ერის პოზიცია, თუ რომელიმე საკითხი არის ნათელი და სიმართლის მატარებელი, ეს არის საკითხი საქართველოს განთავისუფლების, ეს არის პოზიცია საქართველოს მთავრობის.

ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი რუსეთის ცნობის. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინების. პირიქით. ჩვენ მუდამ ვიცავდით მათ შინაურ საქმეებში ჩაურევლობას და ერის უფლებას თავის ბედი თვით გამოსჭედოს. ველიკოროსებს აქვთ უფლება ისეთი მთავრობა იყოლიონ, როგორიც სურთ, ისეთი წყობილება შემოიღონ, როგორიც მოეწონებათ. მაგრამ ქართველ ერსაც ანეთივე უფლებები აქვს თავის პატარა სამშობლოს ფარგლებში.

მისი ბედის გადაბმა დიდი რუსეთის ბედზე, მისი საკითხის გადაქცევა რუსეთის შინაურ საკითხათ, არავითარი მოსაზრებით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს.

მხოლოდ შიშველი იმპერიალისტური თვალსაზრისით შეიძლება წინააღმდეგობის მტკიცება.

ამ რიგათ არც ერის უფლებები, არც ევროპის ინტერესები, არც ინტერესები რუსეთის დემოკრატიის, არც სხვა რამ კულტურული მოსაზრება არ მოითხოვს საქართველოს ჩაჭედვას რუსეთის ფარგალში. პირ-იქით ყველა ეს მოსაზრებები მისი თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობის სასარგებლოთ ლაპარაკობს.

თვით შიდა რუსეთის მალე აღდგენისა და განახლებისთვისაც ეს იმპერიალისტური ტენდენციები მოსკოვის კომუნისტების წმინდა უარყოფითია, მომაკვდინებელია. და მხოლოდ რეაქციონურ წრეებს, როგორც ვრანგელის და და სხვა მონარქისტების წრეებია, შეუძლია ამ აშკარა ვერაგობას ტაში დაუკრან, რადგან თვით დანგრეულს და დასაწყლებულს, სხვისი დაჩაგვრით უნდა გაწყალებული გული გამოიმთელოს.

ამათ რეაქციონურ სისინს ერთი მნიშვნელობა აქვს—იგი აშკარა ჰყოფს მთელ სიავეს იმ საქმისას, რომელიც მოსკოვის დიქტატორებმა საქართველოში შემოჭრით ჩაიდინეს.

და ჩვენი მთავრობა, ევროპის მუშათა დემოკრატიის და მთელი პროგრესიული კაცობრიობის სრული თანაგრძნობით და დახმარებით, იმედი გვაქვს, შესძლებს საქართველოს ნავი ბოლშევიკურ მღვრიე ტალღებში ჩანთქმას გადაარჩინოს და მისი დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენით ახალი, ევროპიული ცხოვრებისაკენ გზა გაუწალდოს.

ვისთან არიან ბოლშევიკები?

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ბოლშევიკები აკეთებენ ანტი-დემოკრატიულს და ანტი-სოციალისტურ საქმეებს. რომ ბოლშევიკების ბატონობა რუსეთში ანადგურებს დემოკრატიას, მუშათა კლასს, თვით რუსეთს და აძლიერებს როგორც საერთაშორისო რეაქციას, ისე თვით რუსეთის მომავალ რეაქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სწამდა საქართველოს სოც.-დემოკრატიას და ამიტომ იყო რომ იგი ბოლშევიზმს ებრძოდა, როგორც სიტყვით, ისე საქმით. ეს შეგვებული ქონდა ქართველ ხალხს, მას წამდა რომ ბოლშევიზმის გაბატონება მოასწავებდა და მოასწავებს თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოსპობას, ამიტომ იყო რომ იგი თავგამოდებით ებრძოდა მას და ებრძვის დღესაც.

მაგრამ რეაქციონერებსაც კარგათ აქვთ შეგნებული და გათვალისწინებული—თუ ვის საქმეს აკეთებენ მოსკოვის დღევანდელი დიქტატორები.

ყველამ კარგათ იცის თუ ვინ უმაგრებდა ბოლშევიკებს ზურგს 25 ოქტომბრის გადატრიალების დროს, ვინ უწყობდა მას ხელს და ვინ უკრავდა მათ ტაშს. ეს გახლდათ გერმანიის სამხედრო შტაბი და რუსეთის რეაქციონერები.

რუსეთის რეაქციამ ბოლშევიკების გაბატონების გამო შესძლო მთელი თავისი ძალების დარაზმვა და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. მართალია, იგი დამარცხდა, მაგრამ დამარცხდა «გენერლების მეთაურმა» და არა რეაქცია. მას დღეს უფრო კარგი ნიადაგი აქვს, ვინემ ეს ქონდა დენიკინ-კოლჩაკის ხანაში. მისი პერსპექტივები დღეს უფრო, ფართოა, ვინემ ოდესმე. პირობები ყოველ მხრით მზათ არის, საჭიროა მხოლოდ ლენინის «ტახტის» დაკავება. უეჭველია რუსეთის რეაქცია ამას იზამს და ამისთვის იგი ახალ ხელმძღვანელთ მონახავს. მეთაურათ მეფის გენერლები აღარ გამოდგება. ეს მან კარგათ იცის.

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ საერთაშორისო რეაქცია ამ ოთხი წლის განმავლობაში «საშვალებას» აძლევს ბოლშევიკებს იბატონონ რუსეთში რათა მას მოყვეს რუსეთის მეურნეობის სავსებით მოსპობა და სოციალისტური მოძრაობის სახელის გატეხა.

ამ პოლიტიკამ თავის ნაყოფი უკვე გამოიღო. ბოლშევიკები თავის ნებით მიდიან საერთაშორისო იმპერიალიზმთან, მუხლს იდრეკენ მის წინაშე და ეუბნებიან: ქვეყანა ჩვენი მდიდარი და დიდია, ხოლო ჩვენ არც კაპიტალი გვაქვს და არც სამეურნეო წარმოების გამოცდილება, თქვენ კი ფულიც გაქვთ და გამოცდილებაც, და ამიტომ გთხოვთ მოგბრძანდეთ და იბატონოთო.

საერთაშორისო კაპიტალი უკვე გრძნობს თავის გამარჯვებას. იგი ხედავს, რომ ლენინის ელჩებმა კრასინ-ლიტვინოვ-სკობოლევებმა საკმაოდ ტკეპნეს ლონდონისა და პარიზის სასახლეების უკანა კარები და რომ ეხლა ისინი უკვე მის წინაშე დაჩოქილი დგანან. ამის შემდეგ ანტანტის წარმომადგენელნიც შესაძლებლათ სცნობენ ბოლშევიკებთან ლაპარაკს.

რას ნიშნავს ეს? მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკების დამარცხებას, კომუნიზმის გაკოტრებას და იმპერიალიზმის გამარჯვებას.

ამას კარგათ ხედავს ევროპის დემოკრატია და მუშათა კლასი. საყურადგებოა ის, რომ, რაც უფრო შესაძლებლათ სცნობს ევროპის ბურჟუაზია რუსეთის ბოლშევიკებთან საქმის დაჭერას და მასთან ლაპარაკს, ევროპის მუშათა კლასი მას უფრო და უფრო შორდება. ბოლშევიკებმა უკანასკნელათ დაკარგეს ევროპის პროლეტარიატში ის მცირედი გავლენაც კი, რომელიც მათ წინეთ ქონდათ. მოსკოვის კომინტერნი დღეს ევროპის მუშათა კლასს აღარ ხიბლავს, მან იცის თუ რას წარმოადგენს იგი. ბოლშევიკების გუშიდელი მეგობრები—ევროპის კომუნისტებიც კი მესამე ინტერნაციონალიდან იმიჯნებიან, მის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებენ და ლენინ-ტროცკი-ზინოვიევს მუშათა კლასის მოღალატეთ აცხადებენ.

გასული წლის თებერვალში ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს, ერის თვით გამორკვევის პრინციპები ფეხქვეშ გათელეს, დემოკრატია და მუშათა კლასი დაარბიეს და წითელი არმიელის შტიკი გაამეფეს. ერთი სიტყვით, გააკეთეს უდიდესი ისტორიული რეაქციონური საქმე. პატარა ერის უფლებებს ასე ფეხქვეშ წინეთ სთელავდენ მხოლოდ მეფის მთავრობანი და იმპერიალისტები, დღეს მას ისინიც სიფრთხილით ეკიდებიან და ასეთ უდიერათ, როგორც მოსკოვის მთავრობა ექცევა პატარა ერებს, ისინი არ ეპყრობიან.

მთელი ქვეყნის დემოკრატიამ, მუშათა კლასმა და სოციალისტებმა დაგმეს ბოლშევიკების ეს ნაბიჯი და მოსკოვის დიქტატორებიდან მოითხოვეს წითელი არმიის საქართველოდან გაყვანა. ისინი ყველანი ერთხმათ აღიარებენ, რომ მოსკოვის კომუნისტებს არ აქვთ უფლება გათელონ ქართველი ერის უფლებები, იმ ერის, რომელმაც თავის რევოლიუციონური ბრძოლით სახელი გაითქვა მთელს ქვეყანაზე და რომელიც ეხლაც განაგრძობს ბრძოლას თავის დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოსკოვის მთავრობა მართლა სოციალისტური იყოს, რომ იგი მართლა მუშათა და გლეხთა მთავრობას წარმოადგენდეს, ის აუცილებლათ გაუწევდა ანგარიშს ევროპის მუშათა კლასის ამ მოთხოვნილებას, მხედველობაში მიიღებდა სოციალისტების აზრს და თავის შეცდომას გაასწორებდა.

მაგრამ ლენინის მთავრობა არ არის სწორეთ ასეთი მთავრობა და ამიტომ ამ კითხვაშიც იგი ევროპის მუშათა კლასთან და სოციალისტებთან არ აღმოჩდა. აქ მეორდება იგივე ისტორია, რაც მოხდა პოლონეთის დანაწილების დროს მესამოცე წლებში. სოციალისტური პირველი ინტერნაციონალი ბარქსისა და ენგელსის მეთაურობით პოლონეთის აღდგენას მოითხოვდა, ხოლო იმპერატორები მას ანაწილებდენ. მაგრამ ისინი იყვენ იმპერატორები და ამავე დროს არც მუშათა კლასი იყო ისე ძლიერი, როგორც დღეს არის. დღეს მის აბუჩათ აგდებას ველარც მეფენი ბედავენ. და თუ მოსკოვის მთავრობა არ უწევს მათ ერთსულოვან მოთხოვნილებას ანგარიშს, ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ბოლშევიზმი და მუშათა კლასი ორი სხვა და სხვა მოვლენაა.

მაშ ვინ არის ამ შემთხვევაში ლენინთან და ვინ უჭერს მას მხარს? ვინ უწონებს მას პატარა ერების დაპყრობას საერთოთ და კერძოთ საქართველოს დარბევას?

ცხადია, რეაქციონეროობას—რეაქციონერები მოიწონებენ. და ეს ასეც ხდება. აი ყური დავუგდოთ როგორ ხოტბას ასხამენ ბოლშევიკებს რეაქციის გუშინდელი აქტიური მეთაურნი და სულის ჩამდგმელნი. «რუსეთი უნდა დარჩეს დიდ სახელმწიფოთ, სწერს კრებულ «სმენა ვეხის» ფურცლებზე პროფ. უსტრიალოვი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ გადაიტანს დღევანდელ სულიერ კრიზისს. და რადგანაც მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლია აღადგინოს მისი საერთაშორისო პრესტიჟი და მთლიანობა, ამიტომ ჩვენი ვალია ვიცნოთ მისი პოლიტიკური ავტორიტეტი. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, განაგრძობს ცნობილი რეაქციონერი პროფესორი და დღევანდელი—ნაციონალ ბოლშევიკი, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა შემოუერთოს ცენტრს განაპირა ქვეყნები. იგი ამას რევოლიუციის სახელით გააკეთებს, ხოლო ჩვენ მასს მთლიანი და დიდი რუსეთის სახელით. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს განსხვავება იდეიაში, გზა მაინც ერთიაო». (კრებ. «ს. ვეხ.» გვ. 57-56).

ბოლშევიკების და მუშების გზა ერთმანეთს დაშორდა და რეაქციონერებისა და «ველიკოდერჟავნიკების» შეერთდა.

და ეს «ველიკო-დერჟავნიკები» დიდ მადლობას უძღვნიან ბოლშევიკებს საქართველოს დაპყრობისათვის და იცავენ მათ იმ ხალხისგან, რომელთაც ბოლშევიკების ასეთი ნაბიჯი არ მოსწონთ. ნაც.-ბოლშევიკები ჟურნალ «სმენა ვეხის» № 6-ში გაკვირვებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ რუსეთის ემიგრაციის ერთი ნაწილი გმობს ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობას და მოითხოვს რუსის ჯარის იქედან გაყვანას. «ვეხილები» ნამდვილი ბოლშევიკური ენითა და საბუთებით ამტკიცებენ, რომ «საქართველოს დაპყრობა არ მოხდარა, რომ იქ ერთი ქართული მთავრობა, მეორე ქართულმა მთავრობამ შესცვალა და სხვა». და ესეც რომ არ იყოს, მათის აზრით, რატომ არ შეიძლება ამ «მოჩვენებითი რესპუბლიკებში», სადაც წინეთ გერმანიისა და ინგლისელების ჯარები იდგენ, ეხლა რუსის ჯარი იყოს!

ამავე ენით და საბუთებით ამართლებენ თავის მოღალატურ მოქმედებას ქართველი ბოლშევიკების ბელადები მახარაძე-ორჯონიკიძეები. რაღა უშავთ, ბედნიერი არიან. მუშათა კლასს გაშორდენ და რეაქციონერებს ჩაეკრენ გულში და მათთან საერთო ენა და გზა გამონახეს. საქართველოს მუშები ებრძვიან, ხოლო რუსეთის რეაქციონერები ეხმარებიან. საერთ შორისო დემოკრატია მათ მოქმედებას გმობს, ხოლო რეაქცია იწონებს და ტაშს უკრავს. თავისუფლებისთვის მებრძოლ მუშებს და გლეხებს ციხეებში ალპობენ, ჩეკებში სტანჯავენ, ხოლო მეფის ცნობილ ჯალათს გენერალ სლაშჩევს მოსკოვში დიდის ზეიმით იღებენ.

კაუცკის, ვანდერველდეს, ჟორდანიას და აქსელროდს კონტრ-რევოლიუციონერათ აცხადებენ, ხოლო დენიკინისა და კოლჩაკის ყოფილ მინისტრებს, ცნობილ რეაქციონურ მოღვაწეთ: კლიუჩნიკოვ-ბობრიშჩევ-პუშკინსა და კომპანიას ქებათა-ქებას ასხამენ, მათ ნაწერებს თავისი ხელით ავრცელებენ და ავტორთ მოსკოვში ეპატიჟებიან!

რით აიხსნება მერე ყოველივე ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სინოდის ყოფილ ობერ-პროკურორს და ბოლშევიკების დღევანდელ მეგობარს ლვოვს დაუჯერებთ, ეს აიხსნება იმით, რომ «საბჭოთა მ ავრობას ცხოვრების ისტორიული აუცილებლობა აიძულებს, რომ კომუნისტური პროგრამის იარაღის მაგიერ, იგი რუსეთის ისტორიული ამოცანის იარაღით გახდეს.»

რუსეთის «ისტორიული ამოცანა» კი, ყოველთვის რეაქციონური იყო და დღესაც ასეთი დარჩა.

მოკლეთ, ბოლშევიკები ⁕ რეაქცია ერთმანეთს უახლოვდება, უკანასკნელი პირველს სავსებით ეშორჩილებს, ხოლო ამავე დროს მუშათა კლასი და ბოლშევიზმი ერთმანეთს შორდება. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხმა ეს მოვლენა ყველაზე უფრო ნთლათ დაგვანახა.

მესამე კომინტერნს მსოფლიო რევოლიუციის საქმე უნდოდა გაეკეთებია, გააკეთა კი მსოფლიო რეაქციის საქმე. ბოლშევიზმმა თვის ლოღიკურ განვითარებას მიაღწია, რეაქციის ბანაკში დაბანაკდა. თავის ისტორია მან რევოლიუციის «გალრმავებით» დაიწყო და ეხლა მისი დასამარებით ათავებს.

კ—ეი.

საქართველოს საკითხი პანნის კონფერენციაზე.

კანნის კონფერენციის გახსნის დღეს 6 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ წარუდგინა უმაღლეს საბჭოს ნოტა, რომელშიაც მათ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი რუსეთის საქმეების გარკვევის საკითხსა და საქართველოს საკითხს შორის, რომლის ტერიტორია დაკავებულია დღეს მოსკოვის ჯარებისაგან.

ამ ნოტაში სწერია: საქართველოს დაკავების შემდეგ ბოლშევიკების მიერ დაყენებული «საბჭოთა საქართველოს მთავრობა» ნამდვილათ წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო ოკუპაციის მთავრობას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართველ ხალხთან და ემყარება მხოლოდ რუსეთის საბჭოთა ჯარის ხიშტებს. მან გააუქმა ერის წარმომადგენლობითი ორგანოები და ადგილობრივი თვითმართველობანი, და მართავს ქვეყანას ტეროორის და ჩეკების საშვალებით; ფართეთ აწარმოებენ ტეროორს, ატუსაღებენ ყველა კლასის და პარტიის წარმომადგენლებს, ათასობით მოქალაქეებს აცხადებენ საშიშარ პირებათ და უცხოეთში ასახლებენ; საზოგადოებრივ პროტესტების ყოველ გამოხატულებას, პოლიტიკურ გაფიცვებს, თუ ხალხის აჯანყებებს საშინელი ძალმომრეობით ახრჩობენ და სხვ.

ქართველი ერის მიერ საყოველთაო საარჩევნო წესით თავისუფლათ არჩეული დამფუძნებელი კრებისაგან წარმოშობილი საქართველოს მთავრობა, რომელიც დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა უდგია სათავეში საქართველოს რესპუბლიკას და რომელიც ცნობილია ყველა სახელმწიფოებში, რომელთაგან იურიდიულათ იქნა ცნობილი საქართველოს რესპუბლიკა; არის ერთათ-ერთი კანონიერი წარმომადგენელი ქართველი ერის ნების-ყოფის, და სრულუფლებიანი დამცველი მისი უფლებისა და ინტერესების საერთაშორისო ასპარეზზე.

და როგორც ასეთი, საქართველოს მთავრობა სთხოვს უმაღლეს საბჭოს, რომ მან საბჭოთა რუსეთთან მოკავშირეთა პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის გარკვევის დროს იმ პირობებ შორის, რომელსაც წაუყენებენ საბჭოთა მთავრობას საერთაშორისო საქმეებში მისი ლოიალობის უზრუნველსაყოფათ, დაურთონ ერთი მუხლი: მოსკოვის მთავრობის ვალდებულება—გაიყვანოს თავისი ჯარი საქართველოდან და ამით აღუდგინოს ქართველ ერს უფლება თვით განაგოს თავის ბედი.

შემდეგ ნოტაში, რომელსაც ხელს აწერს ნ. ჟორდანია, გამოთქმულია ღრმა რწმენა იმის, რომ საქართველოს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება, რადგან მის სასარგებლოთ ლაპარაკობს არა მარტო უფლება ქართველი ერის, რომელიც ასე მხეცურათ გასთელეს ფეხქვეშ ბოლშევიკებმა, არა მარტო პრინციპები საერთაშორისო სამართლის, არამედ აგრეთვე თვით ინტერესები საყოველთაო მშვიდობიანობის, რომელიც არ შეიძლება უზრუნველყოფილათ ჩაითვალოს, სანამ დიდ იმპერიალისტურ მეზობელს შეძლება ექნება პატარა მშვიდობიანი სახელმწიფო იარაღით დაიპყროს და ამის გამო განათლებულ სახელმწიფოებისგან ერთსულოვან პროტესტს არ მიიღებს.

ამავე დროს საქართველოს ელჩმა ა. ჩხენკელმა წარუდგინა კონფერენციის ეკონომიურ კომისიას ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია საქართველოს აღდგენის განსაკუთრებული პირობები.

1) 1921 წლის თებერვლამდე, როდესაც საქართველო აწიოკებული იქნა საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება ნორმალური და საღი განვითარების გზით მიდიოდა ქართველი ხალხის ყველა ძალებისა და ევროპის კაპიტალის შეთანხმებული თანამშრომლობით. ბოლშევიკების შემოსევამ ერთბაშათ მოუღო ბოლო ამათ მუშაობას.

და რომ იგი კვლავ განახლდეს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღდგენა იმ ნორმალური წესების, რომელიც უცხოელების შემოჭრამ დაანგრია.

2) ეკონომიური მდგომარეობა საქართველოს რესპუბლიკის, სადაც ხალხი ყოველთვის იყო და არის წინააღმდეგი ბოლშევიზმის, სადაც ამ უკანასკნელთა ძალა-უფლება მხოლოდ 1921 წელში იქნა შემოღებული უცხო ხიშტების საშვალებით, და მხოლოდ მათ ეყრდნობა, სრულიად განსხვავდება საბჭოთა რუსეთის მდგომარეობისაგან, სადაც ბოლშევიზმი უკვე 4 წელიწადია ბატონობს. საქართველოში ამის გამო, ბოლშევიზმმა ვერ მოასწრო ჯერ კიდევ ყველა ეკონომიური ძალების განადგურება და კერძოთ ვერ შესძლო თავის გამხრწნელი გავლენის მოხდენა ხალხზე და მათში შრომის უნარის და დისციპლინის ჩახშობა. რუსეთთან ერთათ ერთ და იმავე ეკონომიურ სისტემაში ჩაყენება საქართველოსი მოგვცემდა მხოლოდ ამ ქვეყანაშიაც იმ ქაოსის გავრცელებას, რომელიც მეფობს რუსეთში.

მაშასადამე ევროპის ეკონომიური აღდგენის საკითხის განხილვის დროს საქართველოს საკითხი და უფრო ფართოთ, კავკასიის საკითხი უნდა სრულიად განცალკევებულათ დაისვას რუსეთის საკითხისგან.

3) თუ ეს პირობები მიღებულ იქნება, საქართველო და საერთოთ მთელი კავკასია სულ ახლო მომავალში შესძლებენ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში თავის ბუნებრივი სიმდიდრის (მარგანეცი, ნავთი, აბრეშუმი, მატყლი, ბამბა, ტყე და სხვ.) და მოხერხებული საექსპორტო პირობების გამო (შავი ზღვის ნავთსადგურები, ნავთსადენი ბაქო-ბათუმის შუა).

ამისდა მიხედვით, საქართველოს მთავრობა მოითხოვს:

1) რომ საბჭოთა რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან და საერთოთ კავკასიის რესპუბლიკებიდან მიღებულ იქნას, როგორც წინასწარი პირობა ევროპისა და კავკასიის ეკონომიურ თანამშრომლობისათვის. 2) რომ საქართველოს და კავკასიის სხვა რესპუბლიკათა კანონიერი წარმომადგენელნი მოწვეულ იქნენ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ ყველა იმ საკითხების განხილვასა და შესწავლაში, რომელნიც კავკასიის ეკონომიურ ინტერესებს ეხებიან.

საქართველოს იმედი აქვს, რომ მის მოთხოვნილებას ყველა სახელმწიფოები მხარს დაუჭერენ და თავის მორალურ დახმარებას არ დაიშურებენ იმ ქვეყნისთვის, რომელიც მხოლოდ სამართლიანობას თხოულობს ბოლშევიკურ იმპერიალიზმის ძალადობის წინააღმდეგ.

რუსეთის აღდგენის საკითხი.

რუსეთის მნიშვნელობა. ანტანტის მართველი წრეები ბოლოს დარწმუნდენ, რომ ევროპის ეკონომიური აღორძინებისთვის აუცილებლათ საჭირო არის რუსეთის ნედლი მასალა და ბაზარი. ამის შესახებ მოკავშირეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. უთანხმოებას იწვევს მხოლოდ რუსეთის ექსპლუატაციის ფორმა და საბჭ. მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხი. ინგლისის მთავრობა ლოიდ-ჯორჯის სახით მომხრეა რუსეთის ეკონომიურათ აღდგენის საქმეში მონაწილეობა მიიღოს გერმანიამ, მისცენ ამ უკანასკნელს მოკავშირეებმა საშვალება რუსეთის ექსპლოატაციის რაც გაუადვილებს მას ვერსალის პირობების შესრულებას. ლოიდ-ჯორჯი მომხრეა აგრეთვე იცნონ საბჭოთა მთავრობა, თუ კი ეს უკანასკნელი შეასრულებს მოკავშირეების მიერ წარდგენილ პირობებს. საფრანგეთი ამის წინააღმდეგია, რადგან მას ძლიერ აშინებს გერმანიის გაძლიერება რუსეთის ხარჯზე და აგრეთვე არ უნდა ბოლშევიკების მთავრობის ცნობა ისე, თუ საბჭოთა მთავრობა არ მისცემს მოკავშირეთ «საკმაო გარანტიებს». ამ პოლიტიკას ადგა უკანასკნელ დრომდის ბრიანიც. ხოლო ბოლოს იგი დაეთანხმა ლოიდ-ჯორჯს, რამაც გამოიწვია მისი გადადგომა.

უმაღლესი საბჭოს დადგენილება. კანნაში უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკამ გაიმარჯვა. 6 იანვრის სხდომაზე საბჭომ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: «მოკავშირე სახელმწიფონი ერთსულოვნათ ფიქრობენ, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მარტის პირველ რიცხვებისთვის მოწვეული იქნეს ეკონომიური და ფინანსიური კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ევროპის ყველა სახელმწიფოებმა, მათ

შორის გერმანიამ, ავსტრიამ, უნგრეთმა, ბოლგარიამ და რუსეთმა. და თუ რუსეთის დღევანდელი მთავრობა რუსეთთან ვაჭრობის განვითარების უზრუნველყოფისთვის მოითხოვს, რომ იგი ოფიციალურად ცნობილი იქნეს,—მოკავშირენი მას ვერ იცნობენ მანამ, სანამ საბჭოთა მთავრობა არ მიიღებს შემდეგ პირობებს: 1) სახელმწიფო ვალების ცნობა და მისი გარანტიებით უზრუნველ ყოფა, უცხო სახელმწიფო მოქალაქეთა ქონების ანაზღაურება, რომელიც რეკვიზიციის, კონფისკაციისა და სეკვესტრაციის სახით ჩამოერთვათ მათ. 2) დამტკიცება რუსეთში ისეთი კანონიერი წესების, სისტემის, რომელნიც უზრუნველყოფენ ყველა სავაჭრო ვალდებულებათა და ს'ვა ხელშეკრულებათა შესრულებას. 3) შეწყვეტა ყოველგვარი პროპაგანდის მოკავშირე სახელმწიფოებში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. 4) ვალდებულების მიღება, რომ საბჭოთა რუსეთი არ დაესხმის თავს მეზობელ სახელმწიფოებს და სხვა».

კრასინის აზრი. კრასინმა «ტაიმსის» თანამშრომელს საუბრის დროს უთხრა: საბჭოთა რუსეთი მიიღებს ვალდებულებებს მხოლოდ მას შემდეგ, რა რომ მას ოფიციალურათ იცნობენ, ისე კი ყოველივე ლაპარაკი უშედეგო იქნება. გარდა ამისა, მისი აზრით კონსორციუმის კაპიტალი 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი რუსეთის აღსადგენათ ძლიერ ცოტა არის, მას მეტი დახმარება ეჭვირება და თუ ევროპა ეხლა მიეშველება რუსეთის გლეხს, მერე რამდენიმე წლის შემდეგ მას შეეძლება გაიტანოს რუსეთიდან პური და სხვა პროდუქტებიო.

გერმანიის დელეგაცია. 9 იანვარს პარიზში ჩავიდა რატენაუს მეთაურობით გერმანიის დელეგაცია. იგი 16 კაცისგან შესდგება. დელეგაცია ამავე დღეს გაემგზავრა კანნაში. გერმანელებს იმედი აქვთ, რომ მომავალი ეკონომიური კონფერენცია მიიღებს მათ გეგმას რუსეთის აღდგენის შესახებ.

ამერიკის პოზიცია. შეერთებული შტატების პოზიცია დღემდის გაურკვეველია. კანნაში მისი წარმომადგენელი არავითარ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. უკანასკნელი ცნობით შეერთებული შტატების მთავრობამ უარი განაცხადა გაგზავნოს თავის წარმომადგენელი გენუის კონფერენციაზე და ბოლშევიკებთან ერთათ მიიღოს მასში მონაწილეობა.

ამერიკელი მუშების პროტესტი. სტატ-სეკრეტარმა იუზამ მიიღო მრავალი საპროტესტო დეპეშები გენუის მომავალ კონფერენციის შესახებ. მათ შეუძლებლათ მიაჩნიათ ამერიკამ საბჭ. რუსეთის წარმომადგენელებთან ერთათ მიიღოს მასში მონაწილეობა. ყველაზე უფრო მკაცრი პროტესტი იუზამ მიიღო ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარესაგან გამპერსიდან. იგი ამერიკის მუშების ცნობილი ლიდერია.

რუსეთის დემოკრატიის პროტესტი. რუსეთის დემოკრატიის სახელით პროტესტი განაცხადა რუსეთის დამ. კრების წევრების აღმასრულებელმა კომისიამ. იგი თავის მიმართვაში სხვათა შორის სწერს: «აღმასრულებელი კომისია ვალდებულათ სთვლის თავის თავს მიუთითოს იმ მეტათ საშინელ საშიშროებაზე, რომელიც შედეგათ მოყვება იმ «ეკონომიურ ინტერვენციას», რომელიც რუსეთის მიმართ უნდათ განახორციელონ და რომელიც ნიშნავს ომის მიერ გამოწვეული ზარალის დიდი ნაწილის რუსეთის ხარჯზე ანაზღაურებას. ამიტომ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ბოლშევიკური მთავრობა ვერ გახდება რუსეთის ხალხის სურვილის გამომხატველი იმით, რომ იგი მოკავშირეებმა იცნონ, რომ ყოველგვარი ხელშეკრულება დადებული ბოლშევიკებთან რუსეთის ხალხის მიერ უარყოფილი იქნება და ყოველივე ცდა რუსეთის ეკონომიურათ აღდგენის შესახებ უნაყოფო იქნება მანამ, სანამ ბოლშევიკებს არ შესცვლის ხალხის კანონიერი მთავრობა».

რუსეთის მრეწველთა პროტესტი. პარიზში 5 იანვრის სხდომაზე საზღვარ-გარეთ მყოფ რუსეთის ვაჭარ-მრეწველ-ფინანსისტთა კავშირმა იქონია თათბირი რუსეთის «ეკონომიური ინტერვენციის» შესახებ და დაადგინა—რუსეთის ვაჭარ-მრეწველ-ფინანსისტები კვლავ აცხადებენ, რომ რუსეთში არავითარი ეკონომიური აღორძინება არ შეიძლება მინამ სანამ იქ არ დამტკიცებულა უფლებრივი სახელმწიფოებრივი წესი, რომ ისინი არ მიიღებენ არავითარ პასუხისმგებლობას იმ ხელშეკრულებებით, რომელთაც მოკავშირენი დადებენ ბოლშევიკებთან და რომ მათ ყოველგვარი ასეთი მოლაპარაკებანი და ხელშეკრულებანი მიაჩნიათ უკანონოთ და უსამართლოთ.

მილიუკოვის გაზეთის აზრი. მილიუკოვის გაზეთი «პოს. ნოვოსტი» სწერს: ევროპაში სურთ გამოსჭრან ახალი, ეკონომიურათ განმარტოვებული სხეული, სადაც ხელოვნურათ შეაფერხებენ მისი საკუთარი საწარმოო ძალების განვითარებას. ეს არის რუსეთი. და აი ამ ეკონომიურათ განმარტოვებულ სამეურნეო ორგანიზმს აძლევენ სასარგებლოთ ევროპის სამრეწველო ქვეყნებს. ამ გვარათ რუსეთი ხდება რაღაც აფრიკის დაგვარ კოლონიათ, რომელსაც ექსპლოატაციას უშვებენ დამპყრობელები. ყველა «ბლოკადაზე» უფრო მძიმე და აუტანელი ეს «ბლოკადა» ჰრის რუსეთისთვისო.

საქართველო და ევროპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გადატრიალება კავკასიაში.

ბელგიის გამოჩენილი სოციალისტი დებრიუკერი გაზეთ «ლ პეუპლის» 14 დეკემბრის ნომერში კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ სწერს:

«რამდენიმე დღის წინეთ, კონსტანტინოპოლში გავრცელებული ხმების მიხედვით, გაზეთი «ტიმესი» აცხადებდა: რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ მოახდინა ანექსია—საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის რესპუბლიკებისო. საქართველოს საელჩოს მიერ გამოგზავნილი დეპეშა დაახლოვებით ამასავე იმეორებს და ამტკიცებს.

ცხადია, 8 ნოემბერს გამოქვეყნებული დადგენილებით «კავბიუროო» სპობს კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. ამ ჟამათ მას ხალხური მოძრაობის გარეგნულ სახესაც აღარ აძლევენ. გასასამართლებელ საბუთათ აღარ მოაქვთ არც ის ხელშეკრულებები, რომელნიც დადებული იყვენ იმ მკრთალ «დამოუკიდებელ მთავრობათა» შორის, რომელნიც თფილისში, ბაქოში და ერევანში არიან. საბუთათ აღარ იყენებენ არც ადგილობრივ ბოლშევიკურ პარტიების დადგენილებებს. ჰავასის საგენტოს ცნობით, კომუნისტური პარტიის ცენტრი, რომელიც რუსეთს განაგებს დღეს, თავისი «კავბიუროს» საშვალებით დამოუკიდებლათ ადგენს და ანდობს კავკასიის მთავრობის მართვას მის მიერ დანიშნულ თავმჯდომარეს და თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს «თავმჯდომარე» არის იმავე დროს წითელ არმიის მთავარ-სარდალი, რომელიც საოუკუპაციო ჯარებს ბრძანებლობს, მაშინ ჩვენთვის ნათელი ხდება ამ აქტის მნიშვნელობაც.

საჭიროა მოვიგონოთ ის, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ხელშეკრულება დასდო აზერბეიჯანთან და მით უზრუნველჰყო მისი დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ მანამ, სანამ იგი მას შეეესეოდა და დაიპყრობდა; რომ მან აგრეთვე უზრუნველჰყო სომხეთის რესპუბლიკის მთლიანობა ჯერ კიდევ მანამ, სანამ მას თავის ჯარებს შეუსევდა ასაწიოკებლათ. საჭიროა მოვიგონოთ ის, რომ მოსკოვის მთავრობას ორჯერ ქონდა ნაცნობი საქართველოს დამოუკიდებლობა მანამდის, სანამ იგი თავის მე-11 არმიას გაგზავნიდა მის დასაპყრობლათ.

ჩვენ კარგი ხანია ვიცით თუ რა ღირებულებაც აქვს მოსკოვის სიტყვას. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობდით, რომ ბოლშევიკები თავის-თავის გასამართლებლათ ამ რესპუბლიკების ფიქციას მაინც დასტოვებდენ, და ამ გზას დაადგებოდენ მხოლოდ მას შემდეგ, არარომ იქ «პროლეტარულ რევოლიუციას» მოაწყობდენ, სადაც აჯანყებულთა როლს საოკუპაციო ჯარები შეასრულებდენ და ამ სახით ერთიანათ მიიღებდენ კანონიერ მთავრობათა მემკვიდრეობას.

მაგრამ ბოლშევიკები ასე არ მოიქცენ. ნუ თუ მათ ეროვნული დამოუკიდებლობის ასეთი აჩრდილიც აშინებს?! ნუ თუ თავისუფლების სიყვარული ისეთი მძლავრია ერთა გულში, რომ მისი გაღვივების გარეგნული ფორმების მოჩვენებითაც ეშინიათ? ნუ თუ ყველა ამის მაგიერ მათ იფიქრეს, რომ დრო დადგა, როცა ყველაფრის ჩადენა შეიძლება, როცა გაღებულ მსხვერპლებსაც აბუჩათ აიგდებენ და აღარაფერს დამალავდენ? ამის თქმა ძლიერ ძნელია. პირველ შეხედვით ეს აქტი დაურიდებლობას ნიშნავს. შესაძლებელი კია, რომ ეს ნამდვილათ სიგიჟე იყოს და ერთხელ კიდევ გამართლდეს თქმულება: იუპიტერი ჯერ ჭკუას ართმევს მას, ვისი დაღუპვაც მას უნდაო.

ფედერატიული რესპუბლიკა! ამ ახალი სიტყვის მნიშვნელობა რომ გავიგოთ, ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ პიროვნება იმ რუსი გენერლისა, რომელმაც ეს რესპუბლიკა უნდა განაგოს და მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ბაქოს ნავთის მართველობა პირდაპირ მოსკოვს ემორჩილება და რომ ამ გამგეობას მოსკოვი გზავნის.

გარდა ამისა, მიღებული ცნობებით, ბოლშევიკები ლაპარაკობენ არა ფედერატიულ რესპუბლიკაზე, არამედ მხოლოდ ფედერატიულ მთავრობაზე. ეს კი იქნება მთავრობა, რომლის დამოუკიდებლობაც არ გასცილდება მას, რომელიც კავკასიის ერებს ქონდათ მაშინ, როცა თფილისის სასახლეში წითელი გენერლის მაგიერ დიდი მთავარი ნიკოლოზი იჯდა.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდი მთავარი გაისტუმრეს!»...

ლუი დებრიუკერი.

ქართველი მუშა ხალხისთვის, რომელსაც ტროცკის ჯარები ამშევენ და ხოცავენ.

ასეთი სათაურით უძღვნის ერცელ წერილს საქართველოს მუშებს და საერთოთ ქართველ ხალხს საფრანგეთის სინდიკალისტების გაზეთი «ლ ატელიე» (სახელოსნო), რომელიც საქართველოში გამეფებულ ბოლშევიკურ ტეროორის გამო ძლიერ აღშფოთებულია.

რუსეთის კომუნისტები და მათი ევროპიელი ამხანაგები, სწერს გაზეთი, არ უშვებენ შემთხვევას და საქვეყნოთ პროტესტებს აცხადებენ ყოველთვის, როცა მათ წინააღმდეგ კაპიტალისტური სახელმწიფონი ძალმომრეობას სჩადიან. მაგალითათ გაზეთ «ჰუმანიტეს» 2 ნოემბრის ნომერში ვკითხულობთ, რომ ჩიჩერინმა და რაკოვსკიმ ნოტით მიმართა რუმინიის მთავრობას და მოსთხოვა ხელშეკრულებისა და ადამიანობის დაცვა და აგრეთვე რეპრესიების შეჩერება კომუნისტების წინააღმდეგო.

ეს ძლიერ კარგია და ჩვენც ჩიჩერინთან და თვით «ჰუმანიტესთან» ერთათ პროტესტს ვაცხადებთ იმ ტეროორისა და რეპრესიების წინააღმდეგ, რომელსაც რუმინიის მთავრობა სოციალისტებისა და კომუნისტების წინააღმდეგ აწარმოებს.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა იგივე მოვსთხოვოთ ჩიჩერინსა და მის მთავრობას საქართველოს შესახებ, სადაც გამეფებულია ტეროორი, მომსპარია ყოველგვარი თავისუფლება, სავსეა ციხეები გამოჩენილი რევოლიუციონერებით და მოწინავე მუშებითა და გლეხებით, სადაც ამა წლის ოქტომბერში დაატუსაღეს მუშათა დელეგაცია, სადაც სოფლებში ეგზეკუციებია და ტროცკის წითელი არმიელები მთელ ქართველ ხალხს ავიწროებს და სხვა. ერთი სიტყვით, გაზეთი დაწვრილებით აღნიშნავს საქართველოში მომხდარ ამბებს, ბოლშევიკების სისაძაგლეს და ბოლოს ამბობს: აქედან ცხადია თუ როგორ იქცევიან საქართველოში მოსკოვის აგენტები. ამიტომ ჩვენ გვაქვს უფლება ვუთხრათ იმ ხალხს, რომელნიც მხარს უჭერენ მოსკოვის მთავრობასა და მის აგენტებს საქართველოს აწიოკებაში, რომლის ერთათ-ერთი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ იგი სოციალისტურია, რომ თქვენ არ გაქვთ არავითარი ზნეობრივი უფლება განაცხადოთ პროტესტი იმ ძალმომრეობისა და ტეროორის წინააღმდეგ, რომელსაც სჩადის რუმინიის კაპიტალისტური მთავრობა.

ჩვენ კი, რომელნიც ყოველთვის ვიმაღლებდით ხმას ყოველი მთავრობის ტეროორის წინააღმდეგ, ეხლაც გვაქვს უფლება განვაცხადოთ პროტესტი რუმინელ კომუნისტების მკვლელობის გამო, რომელსაც რუმინიის მთავრობა აწარმოებს.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ყველა იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოში სჩადის საბჭოთა მთავრობა, რომელიც იჭერს, სდევნის და ხვრეტს სოციალისტებსა და დამოუკიდებლობის დამცველთ. ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ აგრეთვე ყველა იმათ, რომელნიც თავისი სიჩუმით მონაწილენი ხდებიან საქართველოში მომხდარ ამბებისა. მათ აქვთ მხოლოდ ერთი უფლება: ეს არის სიჩუმე.

თუ რა კომედიას თამაშობს კომუნისტური ინტერნაციონალი საქართველოს საქმეებში, დასკვნის გაზეთი, ამას ცალკე გავარკვევთ.

ევგენი გრენიე საქართ. შესახებ.

გამოჩენილი ჟურნალისტი ევგენი გრენიე ფრანგული გაზეთის «თავისუფალი საფრანგეთის» გასული წლის 20 დეკემბრის ნომერში სწერს:

«საქართველოს წამებულმა ერმა განცვიფრება გამოიწვია მთელს განათლებულ კაცობრიობაში.

განსაცდელის დღეებშიც იგი შეუდრეკელათ იცავს თავის სპეტაკსა და შეუბღალავ ღირსებას და სამარცხვინო ბოძზე აკრავს თავდამსხმელებისა და ოკუპაციის გმირებს.

საფრანგეთის კომუნისტები, როგორიც არიან კაშენი, ფროსარი და სხვანი, ძლიერ შეწუხებულნი უნდა იყვენ მაშინ, როცა მათთან საქართველოს შესახებ ლაპარაკობენ.

აბა რა განსხვავება იქნება მოსკოვის დიქტატორების მიერ საქართველოსადმი ჩადენილ ძალმომრეობასა და იმ შეიარაღებულ ინტერვენციის შორის, რომელსაც მიზნათ ექნება რუსეთში ძველი რეჟიმის აღდგენა?

«ერთა უფლებები», როგორც ეს სოციალისტს უნდა ესმოდეს, ვერ შეიცვლება ქვეყნის, მთავრობისა და ადგილების მიხედვით. ეს უფლებები ჩვენთვის სრული და ხელუხლებელნი არიან.

და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა დავაფასოთ მოსკოვის კომუნისტების მოქმედება, რომლებმაც ძალით მოახვიეს თავზე ბოლშევიკური მთავრობა საქართველოს?

და რა ვუთხრათ ჩვენ იმ ხალხს, რომელნიც სხვა და სხვა ქვეყნებში ასეთ მოქმედებებს მხარს უჭერენ?

მათ კარგათ იციან, რომ საქართველოს თავისუფალი არჩევნების საშვალებით არჩეული ყავდა სოციალისტური მთავრობა, მას მცხოვრებთა 90% უჭერდა მხარს და დავალებული ჰქონდა ეზრუნა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე.

ამ პირობებში, რომელიც ყველა ჩვენგანმა იცის, როგორ შეიძლება ვინმემ სოციალისტობა, ან კომუნისტობა დაიჩემოს და ამავე დროს მთელი თავისი შეგნებითა და ენერგიით არ განაცხადოს პროტესტი ბოლშევიკების საქართველოში მოქმედების შესახებ.

უკანასკნელი ამბები, რომელთაც ჰქონდა ადგილი საქართველოში 24 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდის, სრულიად საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ყოველი სინდისიერი და რევოლიუციონერი ადამიანი აამხედროს მოსკოვის დიქტატორების თვითმპყრობელების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს საქართველოში მომხდარ უკანასკ ლ ამბებს და ბოლშევიკების ძალადობის შესახებ ამბობს: ცხადია, ეს ბოროტმოქმედება შეუძლებლათ და მხეცურათ სწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. მეორეს მხრიდან იგი იწვევს შესაფერ წინააღმდეგობას. სოციალიზმისთვის თავდადებული ქართველები არ იხევენ უკან თავისი მოვალეობის წინაშე. მათ მსხვერპლათ მიაქვთ თავისი პირადი თავისუფლება, სიცოცხლე და სხვა და სხვა სახით მოითხოვენ საქართველოს გარდაუვალ უფლებებს.

სოციალისტების ვალია ამის გამო ხმა მაღლა განვაცხადოთ სასტიკი პროტესტი, რომელიც ამავე დროს იქნება გამოძახილი საქართველოს პროტესტისა და დაჟინებით მოვითხოვოთ მისი აღდგენა თავის უფლებებში.

ჩვენი რწმენაა, რომ საქართველოს მომავალი ისეთია, რომ მის შესახებ ბოლოს თვით კომუნისტური პარტიიდან აღიმაღლება ხმა, რომელიც ჩვენთან ერთათ იცნობს საქართველოს მოთხოვნილებათა სამართლიანობას».

ეჭვმარიტათ რომ ეს ასე იქნება, ეჭვიდან დასავლეთ ევროპაში უკვე დაიწყო კომუნისტების ცალკე მოძრაობა, რომელიც მოსკოვის დიქტატორების მოქმედებას სასტიკათ გმობს. ცხადია, ისინი გარდა მოსკოვის მიერ მოსყიდულებისა, საკართველოს დემოკრატიის სამართლიან მოთხოვნილებას დაუჭერენ მხარს.

საქართველოში.

ზემო აღნიშნული სათაურით ბრიუსელის გაზეთ «ლ პეუპლ»ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

«ჩვენ ვიცით, ამბობს გაზეთი, თუ რამდენათ ტირანიულია ბოლშევიკთა ბატონობა ამ უბედურ ქვეყანაში და რამდენათ ყალბია ის ფიქცია, რომლის მიხედვით საქართველოს თითქოს «საბჭოთა ხელის უფლება» მართავდეს. იგი უბრალო ნიღაბი არის, რომლის უკანაც მოსკოვი იმალება. მაგრამ ნიღაბი ცვდება და ბევრ ადგილას ნამდვილი სახე მოსჩანს. ფიქცია იმდენათ გაქარწყლდა, რომ ეხლა ჩვენ საქართველოში ვხედავთ მარტო იმ მთავრობას, რომელიც მხოლოდ რუსეთის მე-11 არმიის ხიშტების საშვალებით ბატონობს, ისე როგორც მოსკოვის მთავრობა დანარჩენ წითელ არმიელთა ხიშტების საშვალებით არსებობს.

ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ საქართველოს მუშების ბრძოლა და მისი ისტორია. ისინი ძველებური თავდადებით იბრძვიან დემოკრატიისა და სოციალიზმისთვის. ბოლშევიკებს ეს არ ასვენებთ. ისინი არ კმაყოფილდებიან მასური დაპატიმრებით და სხვა ასეთი რეპრესიებით, და ეხლა როგორც ხმები დადის, მათ განზრახვა აქვთ ქართველი რევოლიუციონერები რუსეთში გადაასახლონ.

ამის შემდეგ გაზეთი დაწვრილებით ასწერს რა საშინელება მოელით, თუ ეს ხმები გამართლდა, გადასახლებულთ რუსეთში და ამბობს: ეს არის ის მწარე ხანა, როდესაც რომელიმე ერი თავის ეროვნულ უფლებათა შორის, ერთ უპირველეს მოთხოვნილებათ აყენებს, რომ ის პირები, რომელნიც სხვა პოლიტიკური რწმენის არიან, ვინემ დღევანდელნი მდგომარეობის ბატონ-პატონი, იყვენ მოთავსებულნი თავიანთ სამშობლოს ციხეებში.

მართალია პირობები აუტანელი შეიქნა, ხალხი ძნელათ უმკლავდება იმ განსაცდელს, რომელიც აქეზებს მას, რომ ძალით მოიშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს თავიდან ის უსინდისო უზურპატორები, რომელთაც ვერაფერს სიტყვით ვერ შეასმენ. მაგრამ ბოლშევიკებსაც ეს უნდათ. ისინი განგებ იწვევენ ხალხს აჯანყებისკენ, რადგან ემყარებიან შეიარაღებული ჯარების უპირატესობას. მათ უნდათ გამოიწვიონ სისხლის ღვრა, რათა სისხლში ჩააღრჩონ ამაყი ერი საბოლოოთ და მემრე უსიტყვოთ დაიმორჩილონ. მაგრამ ბოლშევიკები ცდებიან. ხშირათ პრეტორიანელთა არმია ირღვევა. ძალათ შეკრებილ ჯარს ბოლოს და ბოლოს მოგეზრდება ომი იმ მიზნისთვის, რომელიც მისთვის უცხოა. არ არის მართალი, რომ თითქოს რამდენიმე კომუნისტი ტერორის საშვალებით მუდამ შესძლებს პატარა ერებისა და ხალხის დამორჩილებას.

მოსკოვს კავკასიის ქედს იქითაც ბევრი აქვს თავსატეხი, რომ ახალი არ გაიჩინოს. მათ შეეძლოთ მშვიდობიანათ ეცხოვრათ თავის მეზობელ ქართველ ერთან. ეს უკანასკნელი არასოდეს არ ფიქრობდა მის მტრობას. ბოლშევიკებს დღესაც შეუძლიათ ეს. მარა ისინი ვერ ხვდებიან იმ აუცილებლობას, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს. მით უარესი მათთვის. ქარის დამთესავნი, ქარიშხალს მოიმკიან».

ინგლისის მუშათა პარტია და საქართველო.

ინგლისის მუშათა პარტია თავიდანვე დიდის ყურადღებით მოეკიდა საქართველოს განთავისუფლების საკითხს და იგი მას დღესაც განაგრძობს. ერთ-ერთ თავის უკანასკნელ სხდომაზე ინგლისის მუშათა პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა საქართველოს შესახებ მიიღო იგივე რეზოლიუცია, რომელიც გამოიტანა მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ საკითხის შესახებ 22 ნოემბერს ქ. ბრიუსელში. (იხ. «თავ. საქართ.» № 13). ინგლისელი ამხანაგები გადაჭრით მოითხოვენ რუსეთის მთავრობისგან საქართველოდან ჯარების გაყვანას და ქართველი ერის უფლებების დაცვას, თუ კი მოსკოვის მთავრობასაც სურს, რომ იგი იქნეს ცნობილი ევროპის სახელმწიფოებიკან.

მუშათა პარტიის აღმ. კომიტეტმა თავისი დადგენილების პირი გადასცა ლონდონში მყოფ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს მოსკოვში გადასაგზავნათ.

საბჭოთა არჩევნები დაპყრობილ საქართველოში.

გაზეთი «თავის. საფრანგეთი» 21 დეკემბრის ნომერში სწერს: დეკემბრის პირველ რიცხვებისთვის ბოლშევიკებმა საქართველოში დანიშნეს საბჭოს არჩევნები, რომელიც რუსის ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ გაუქმებული იყო. საარჩევნო დეკრეტის ძალით არჩევნები ფარული არ არის, ხელის აწევით ხდება და სოციალისტებსა და სხვა ოპოზიციონურ პარტიებს არ აქვთ უფლება თავისი კანდიდატების სიის წამოყენების. წინდაწინვე არის ნათქვამი, რომ რევკომი არ დაამტკიცებს არა კომუნისტსო. მეორეს მხრით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ყველა უცხო ელემენტებს--აფიცრებს, საოკუპაციო ჯარს, რუსის მოხელეებს და აგრეთვე ვოლგის მხრიდან გადმოსახლებულ დამშეულთ. საქართველოს რევკომი ამითაც არ დაკმაყოფილდა და განსაკუთრებითი რეპრესიებს მიმართა. 3,000-ზე მეტი მოწინავე მუშა, გლეხი და ინტელიგენტი ჩეკის სარდაფში და ციხეებში ჩაყარეს, რკინის-გზელები და საერთოთ ქართველი მოხელეები ათასობით რუსეთში გადაასახლეს და მათ მაგიერ უცხოელები მოიყვანეს.

ამასთანავე ბოლშევიკების მიერ მოწყობილი ბანდები ერთი საარჩევნო კრებიდან მეორეზე მიდიან, ძალადობას ხმარობენ და არჩევნებში მონაწილეობას იღებენ.

ყველა ამის გამო ქართველი მუშები და გლეხები იძულებული არიან ბოიკოტი გამოუცხადონ არჩევნებს და დასტოვონ საარჩევნო კრებები. ბოლშევიკები ქარხნის კარებს კეტენ, რომ მუშებს წასვლის საშვალება არ მისცენ და ძალით აარჩევიონ ბოლშევიკების კანდიდატი, მაგრამ ვერას ხდებიან. მაგალითათ 500 ამრჩევლიდან კომუნისტების კანდიდატებს მხოლოდ 8-10 ხმა მოუვიდა, და ეს ხმებიც მუშების არ იყო. მიუხედავათ ამისა, ასეთ კანდიდატს არჩეულათ აცხადებენ და პროლეტარიატის წარმომადგენლათ სთვლიან.

ეს ცოტაა, საოკუპაციო ჯარებიც ირჩევენ თავის წარმომადგენელს საქართველოს საბჭოებში და მათ საქართველოს წითელი არმიის წარმომადგენელათ ასაღებენ.

დიახ, ქართველი მუშები და გლეხები ასეთ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთი.

კომინტერნი და „ყვითელი ინტერნაციონალი“.

ბოლშევიკები ცნობილი არიან თვისი გამთიშველობით, მათ ყოველგან განხეთქილება შექონდათ და შეაქვთ მუშათა კლასში. მოსკოვის მიერ დაარსებულმა მესამე ინტერნაციონალმა თავის მოქმედების ერთ მთავარ მიზნათ მუშათა კლასის ძველი ორგანიზაციის დაშლა დაისახა. ვინც კომინტერნაში არ შევიდა, ვინც ლენინი არ იწამა «უცოდველ პაპათ», ბოლშევიკებმა ყველა ისინი კონტრ-რევოლიუციონერებათა და სოციალ-გამჯიდველებათ გამოაცხადეს. ასევე მოექცენ ამსტერდამის ინტერნაციონალსაც, რომელიც 20 მილიონ მუშებზე მეტს აერთებს პროკავშირების სახით და რომელსაც ხელმძღვანელობენ მუშათა მოძრაობის ცნობილი მუშაკნი.

და აი დღეს, მოსკოვმა, როცა მას ეს დასჭირდა, მიმართა მუშათა კლასის «მოღალატეთ» «ყვითელ ინტერნაციონალს». და მიმართა მუშათა კლასის მთლიანობის დასაცავად!

საქმე შემდეგშია: საფრანგეთის სინდიკალისტებში მოხდა განხეთქილება. შრომის გენერალურ კონფედერაციას გამოეყო რევოლიუციონური უმცირესობა და თავისი სიეზდი მოიწვია. იგი რასაკვირველია ბოლშევიკების წინააღმდეგიც არის. ამის გამო წითელი პროფკავშირების ინტერნაციონალის სეკრეტარმა ლოზოვსკიმ მოსკოვიდან ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს მიმართა შემდეგი დეპეშით: «საფრანგეთის შრომის გენერალურ კონფედერაციას განხეთქილება მოელის. ეს განხეთქილება მოუტანს საფრანგეთის მუშათა კლასს დიდ ზარალს და შეასუსტებს მის ძალებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ განხეთქილება სასარგებლო იქნება მხოლოდ ბურჟუაზიისთვის და ამიტომ კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო მოგმართავს წინადადებით მოწვეული იქნეს სპეციალური კონფერენცია, რომელზედაც დაესწრებიან ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენელნი, შრომის კონფედერაციის უმრავლესობისა და უმცირესობის და კომინტერნის. კონფერენციის მიზანი იქნება მთლიანობის დაცვა.

გთხოვთ საჩქაროთ გვაცნობოთ დრო და ადგილი კონფერენციისა. კომინტერნიდან დელეგატებათ იქნებიან—ამხ. როზმერი, ტომ მენი და ლოზოვსკი. სასურველია, რომ კონფერენცია მოწვეული იქნეს პირველ იანვრისთვის».

ამსტერდამის ინტერ. აღმასრ. კომიტეტის ბიუროს მდივანმა დეპეშით შემდეგი უპასუხა ლოზოვსკის: «თქვენი დეპეშა მივიღეთ. ის, რაც ხდება საფრანგეთში შედეგია მოსკოვის კომინტერნის პოლიტიკისა. დიდის სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლოს თქვენც მიხვდით, რომ კომინტერნის პოლიტიკით მხოლოდ ბურჟუაზია რჩება მოგებაში. ვეცდები, რომ შრომის კონფედერაციის უმცირესობის კონგრესი გადადებული იქნეს. თუ ეს მოხერხდა, მაშინ 28 დეკემბერს ჩვენი ბიუროს სხდომაზე შევიტან წინადადებას იანვრისთვის სპეციალური კონფერენციის მოწვევის შესახებ».

სამწუხაროთ ლოზოვსკის წინადადება ვერ შესრულდა, რადგან «შრომის კონფედერაციის» უმცირესობამ უკვე მოიწვია კრილობა, თორემ ძლიერ საინტერესო იქნებოდა ის, თუ რას იტყოდენ მუშათა კლასის მოსკოველი დეზორგანიზატორები საფრ. მუშათა კლასის განხეთქილების შესახებ.

„კომინტერნის“ წინააღმდეგ.

მოსკოვის მიერ შექმნილმა მესამე კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ვერ შესძლო დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების თავის გარშემო დარაზმვაც კი. გარდა თითო-ოროლა მოსჯიდულ პირისა, ზინოვიევის კომინტერნს დღეს ყველა შორდება. ჩამოშორდა: იტალიის სოციალისტური პარტია, გერმანიის მუშათა კომუნისტური პარტია, ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტები და სხვა. მაგრამ ეს პარტიები მარტო წასვლით აღარ კმაყოფილდებიან და აქტიურ ბრძოლას იწყებენ მოსკოვის კომინტერნის წინააღმდეგ.

გაზეთების გადმოცემით გერმანიის მუშათა კომუნისტური პარტია შეუდგა «მეოთხე ინტერნაციონალის» დაარსებას. მასში შევლენ: გარდა გერმანელებისა, ჰოლანდიის კომუნისტები, ინგლისის, ბოლგარიის, ჩრდილო-სლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პენმა, ვალჰეადმა, რომლის სიტყვა გადათარგმნა ლედებურმა. მიტინგი დიდის ენტუზიაზმით შეეგება ორატორებს და ბურვალე ტაშით დაჯილდოვა.

მიტინგის შემდეგ ბიურომ კვლავ განაახლა სხდომა, რომელზედაც გარჩეულ იქნა საგარეო პოლიტიკის საკითხები და მიღებულ იქნა ამერიკის შეერთ. შტატ. პრეზიდენტ ჰარდინგისადმი მიმართვა, რომლითაც ბიურო მოითხოვს ამერიკელ ცნობილ სოციალისტის ვებსის განთავისუფლებას, რომელსაც 10 წლის ციხე აქვს მისჯილი.

აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა კავშირი.

პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახალ სახელმწიფოების, რომელნიც აღმოცენდენ დაშლილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, და რომელნიც აღიარებენ ერთა და მხარეთა თვითგამორკვევის უფლებას, და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ თვითარსებობას მიუხედავად ტერიტორიალური, გეოგრაფიული და სხვა პირობისა, რომელნიც საუკეთესო ფორმათ სახელმწიფო წყობილებისა თვლიან რესპუბლიკანურ ფორმას, როგორც დემოკრატიული პრინციპების სრული განხორციელების საუკეთესოთ უზრუნველმყოფელს, ადგენენ აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა კავშირს.

I. კავშირი მიზნათ ისახავს:

1) სოლიდარულ, აქტიურ ბრძოლას აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა განსათავისუფლებლათ უცხოელ ოკუპანტების ძალაუფლებისაგან, და სოლიდარულ ბრძოლას «ერთიანი და მთლიანი» რუსეთის აღდგენის ყოველგვარ ცდის წინააღმდეგ.

2) აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა სუვერენულ და ეროვნულ უფლებების სოლიდარულ დაცვას ყოველგვარი თავდასხმისაგან გარეშე სახელმწიფოთა და ხალხთაგან.

3) კავშირი აუცილებლათ თვლის, დადებულ იქნეს აღმოსავლეთის ხალხთა შორის ხელშეკრულება და კავშირი სამხედრო-თავდაცვითი, ეკონომიური და სხვ. აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა შორის, და ამ მხრივ გავლენას ახდენს თავის ქვეყნის მთავრობებზე.

4) კავშირი იცავს სავალდებულო არბიტრაჟის აუცილებლობას აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა შორის ყველა სადაო კითხვების გადასაჭრელად.

5) კავშირი ებრძვის ყოველგვარ ცდას, რომელიც მიმართულია იქეთკენ, რომ ეროვნულ-ტერიტორიალური საკითხები გადაჭრილ იქნეს ადგილობრივ მცხოვრებთა დაუკითხავად და მონაწილეობის მიუღებლათ.

6) კავშირი საჭიროთ თვლის ეროვნულ უმცირესობათა საერთაშორისო დაცვის აუცილებლობას ყოველ სახელმწიფოში და აღიარებს ამ უმცირესობათა უფლებას სრულ ნაციონალურ განვითარების სფეროში.

II. კავშირის წევრათ შეიძლება იყოს ყოველი პოლიტიკური პარტია, და საზოგადოებრივი ორგანიზაცია აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა, რომელიც სდგას კავშირის პლატფორმაზე თუ მასში მოსვლის სურვილს განაცხადებს და მიღებულ იქნება კავშირის საბჭოსაგან.

III. სანამ მოწვეულ იქნებოდეს კონფერენცია აღმოსავლეთის ხალხთა პოლიტიკურ პარტიების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების, ქვემო ხელის მომწერი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი: ბელორუსიის, საქართველოსი, ყუბანის, ლატვიის და უკრაინის—ადგენენ საბჭოს, რომელიც ირჩევს თითო ქვეყნის ხალხიდან ერთ წარმომადგენელს ბიუროში. ამ უკანასკნელს ეძლევა კოოპტაციის უფლება.

ბიუროს ევალება აწარმოოს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა კონფერენციის მოსაწვევათ და კავშირის მიმდინარე მუშაობის გაძღოლა.

ამ კავშირს რომელშიც შედიან ზემო აღნიშნულ ქვეყნების გავლენიან პარტიათა ჯგუფები, განზრახვა აქვს გამოსცეს ევროპაში თავის ორგანო «აღმოსავლეთი ევროპა».

საპარლამენტო არჩევნები ბელგიაში.

ბელგიის საპარლამენტო არჩევნები დამთავრდა. სოციალისტებმა დაკარგეს 4 ადგილი, და წინანდელი 70 დეპ. მაგიერ გაიყვანეს 66. ლიბერალებმა შეინარჩინეს ძველი პოზიციები 34 დეპ. კათოლიკებმა მოიგეს 8 ადგილი 73 მაგ. 81 დეპ. ყავთ, და წვრილმა ჯგუფებმა დაკარგეს 4 ადგილი.

გარეგნული შეხედვით სოციალ-დემოკრატია თითქოს დაუძლურდა ამ არჩევნებში. მაგრამ თუ არსებითად ჩავუკვირდებით საქმეს ეს ასე არ არის. პირველ-ყოვლისა მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ წინანდელი არჩევნები განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში მოხდა სოციალისტური პარტიისთვის და ახლა იმავე ხმის რაოდენობას სოციალისტები აღარ მოელოდენ, რადგან ახლა საერთო სულიერი განწყობილება საზოგადოებაში თითქო მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ყველა პარ-

საქართველოს პარლამენტი

ტიები დარაზმული და შეთანხმებული გამოდიოდენ სოციალისტების წინააღმდეგ და იმედი ქონდათ 15-20 დეპუტატის შეძენისა მათ ხარჯზე. თვით სოციალისტებიც არ მოელოდენ დაუმარცხებლათ გამოსვლას ამ ბრძოლიდან; მაგრამ, არჩევნებმა დაგვანახვა, რომ მათ ხმები საერთოთ ამ არჩევნებში რამდენიმეთ მეტი მიიღეს ვინემ წინეთ, 650,000-ს გადააჭარბეს და თუ მაინც 4 მანდატი დაკარგეს, ეს იმიტომ, რომ საერთოთ საარჩევნო ყუთებთან ახლა გაცილებით მეტი ხალხი მივიდა, სჩანს ინდინფერენტიულმა ბურჟუაზიულმა წრეებმა ახლა აქტივობა გამოიჩინეს, რომ სოციალისტებისთვის უკან დაეხევინებიათ. ამიტომ ჩვენი ბელგიელი ამხანაგები სრულ მორალურ გამარჯვებათ თვლიან იმ გარემოებას, რომ მათ წინანდელზე მეტი ხმა მოუვიდათ.

რაც შეეხება კომუნისტებს ბელგიაში, მათ სცადეს ლენინის ფულით და კარნახით საარჩევნო კომპანიის გაჩაღება, მაგრამ უსასტიკესი დამარცხება განიცადეს. სულ მოაგროვეს 2500 ხმა, ესე იგი 4 ჯერ ნაკლები, ვინემ ერთი დეპუტატის გასაყვანათ იყო საჭირო.

სინდიკალისტ. მოძრაობა იტალიაში

ამას წინეთ მომხდარმა იტალიის სინდიკალისტთა წლიურმა კონგრესმა განიხილა კითხვა—იტალიის სინდიკალისტურ მოძრაობის საერთო მიმართულების შესახებ. კამათის ცენტრათ იყო წამოყენებული საკითხი—თუ რომელ საერთაშორისო გაერთიანებას უნდა ეკუთვნოდენ იტალიის სინდიკალისტები,—ამსტერდამის სინდიკალისტურ ინტერნაციონალს, თუ მოსკოვის მიერ შექმნილ «წითელ ინტერნაციონალს»?

კამათის დროს ორატორები, ისეთებიც კი, რომლებიც თავის თავს მესამე ინტერნაციონალის მომხრეებათ თვლიან, აშკარათ აღიარებდენ, რომ არავითარი «წითელი ინტერნაციონალი» პროფკავშირებისა, სინამდვილეში არ არსებობს და ყოველივე ლაპარაკი ასეთი «ინტერნაციონალის» შესახებ რეკლამისა და მოტყვილების მეტი არაფერიაო.

კონგრესმა 1.400,000 ხმის უმეტესობით 400,000 წინააღმდეგ უარყო მოსკოვის ცენტრთან შეერთება და კიდევ ერთხელ დაამტკიცა იტალიის სინდიკალისტების ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი ერთგულება.

რა ხდება საბჭოთა საქართველოში

„კომუნისტური სავანე"

(წერილი მეტეხიდან)

შენ უკვე მიხვდი მკითხველო, რა სავანეზედაც მექნება შენთან საუბარი. ასეთი სავანეებით მოფენილია დღეს ჩვენი სამშობლო ჩვენი გამაბედნიერებლების მიერ. ერთ ასეთ სავანეში, ისტორიულ მეტეხში, მეც მხვდა წილად ბედნიერება ცხოვრებისა.

როცა მოსკოვმა საქართველო დაიპყრო და ბათუმის ციხიდან ჩვენებური კომუნისტები გაანთავისუფლა, ერთმა მათგანმა, არაქელა ოქუაშვილმა ასე აგვიწერა თავიანთი მომავალი სატუსაღო: ჩვენ სატუსაღოები არ გვექნება, გვექნება გამასწორებელი სახლები. ამ სახლებში შევქმნით ისეთ პირობებს, სადაც ყველა უზრუნველყოფილი იქნება ფიზიკურად და სულიერად. გავხსნით შიგ სახელოსნოებს, შკოლებს, თეატრებს, ვაჭმევთ, ვასმევთ და ვასწავლით. კარგათ მოვაწყობთ შიგნით სამკურნალო და სანიტარიის საქმეს, ხოლო ამის გარდა ყველას ექნება ნება კვირაში ერთჯერ მაინც წავიდეს სახლში ერთი ღამით, რათა დასუფთავდეს, ტანზე გამოიცვალოს, ცოლშვილთან გაათიოს და მეორე დილას დაბრუნდეს. დაუბრუნებლობისათვის კი, სიკვდილით სასჯელი იქნება შემოღებულიო.

ასეთ დაპირებებს იძლეოდენ ბათუმში გამარჯვებით დამთვრალი ჩვენი ერის მოღალატენი. აქედან ერთი რამ ჯიუტად სრულდება დღესაც. ეს გახლავს სახელწოდება სატუსაღოებისა: ასეთ სახლებს ყველგან დიდი ასოებით აწერია «ისპრავდომ № ტაკი-ტო», რა საკვირველია რუსულათ. ასევე უწოდებენ მას ისინი როგორც ლაპარაკში, აგრეთვე მიწერ-მოწერაში. აიძულებენ ასე უწოდონ ტუსაღებმაც. «ჩვენ სატუსაღოები არა გვაქვს და არც ტუსაღები გვყავს; ჩვენ გვაქვს გამასწორებელი სახლები და შიგა გვყავს გასასწორებელი ამხანაგებიო», წყრომით გაუსწორებენ ხოლმე ციხეში მოსული კომუნისტი მოხელეები და სატუსაღოს კომუნისტი ადმინისტრატორები ტუსაღს, რომელიც მათ «ისპრავდომს» სატუსაღოს უწოდებს და თავისთავს პატიმარს. ყველა დანარჩენი დაპირებანი, რასაკვირველია მოგონებათ დარჩა.

ავიღოთ მეტეხი. ეს ისტორიული ციხე-სიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრე, 14 საუკუნის განმავლობაში ერთგულ დარაჯად მდგომი ქართველთა დედა-ქალაქის თფილისისა, ასი წლის წინათ რომანოვებმა აქციეს სატუსაღოთ. ბოლშევიკებმა ის ჯერ გაძარცვეს, წაიღეს რაც მოსახმარი იყო: ტუსაღის ტანისამოსები, ლოგინები, კრაოტები, სკამები, მაგიდები, ჭურჭლები და სხვა. (ტუსაღები, რასაკვირველია, ყველა გაუშვეს), ხოლო ორიოდე დღის შემდეგ დაუწყეს აქ შემორეკა ყოველნაირ ხალხს, დამნაშავეს და უდანაშაულოს. ციხე გამოანგარიშებულია 300 კაცისათვის, ხოლო ბოლშევიკებს მუდამ ყავთ აქ 700-800 და ხან 900 კაციც. ახალ შემოსულს თვალში ეცემა ეზოში მდგომი, ან მიწაზე დაყრილი ტიტველი ხალხი, ჭუჭყიანი და მზისგან დამწვარი კანით, რომლებიც ლანდებივით გამოიყურებიან. რაშია საქმე? კითხულობს გაოცებული ახალ მოსული.

საქმე იმაში გახლავთ, რომ «სოციალისტურ სამოთხეში» ტუსაღთა კვების (ჩაცმა-დახურვაზე ლაპარაკი ზედმეტია) შესახებ შემოღებულია ძველი სპარსეთის კანონები, რაც იმაში გამოიხატება, რომ ტუსაღზე ხაზინა არ ხარჯავდა არც ერთ კაპეიკს. მისი კვება მისი პატრონის საქმე იყო და თუ ასეთი არ ყავდა, ან მადლიანი ადამიანი არ გამოუნდებოდა, შიმშილით უნდა მომკვდარიყო. ასეა აქაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კომუნისტები ერთბაშათ სიკვდილის ნებას არ აძლევენ და ამ მიზნით დაწესებული აქვთ ტუსაღზე $^1/_2$ გირ. პური და ერთი კოვზი ლობიოს, ან ტარანის ნახარში. აქედანაც ჩვეულებრივ თავის საკოფი უნდა მოიპაროს ვისაც ჯერარს და, ვაი მას ვისაც არა ყავს პატრონი და ყოველ დღე არ უზიდავს საზრდოს. ასეთები მეორე დღესვე შეუდგებიან ხოლმე ნაწილობრივ თავისი ტანისამოსის გაყიდვას. ბაზარი ამისათვის აქვეა: დაბალი ადმინისტრატორები და უფრო კი მექრთამეობაზე დაჭერილი კომუნისტი მოხელეები, რომლებიც აქ მუდამ ასობით ითვლება, არიან მყიდველებათ. გაჭირვებაში ჩავარდნილი ტუსაღი ოხრის ფასად აძლევს მათ ყველაფერს და აღებული ფულით აქვე, ციხის დუქანში ყიდულობს პურს. ასე ყიდის ის ცალცალკე ყველაფერს სანამ უკანასკნელ საცვლებს არ მიადგება. ჯერ კიდევ შერჩენილი სირცხვილის გრძნობა აიძულებს საცოდავს გაყიდოს მარტო პერანგი, ხოლო მისი ამხანაგი დაიტოვებს, ზოგს ბედი გაუღიმებს ხოლმე; სადღაც იშოვნიან სახაზინო ძველ საბანს, შემოიხვევენ და მოიმაგრებენ მას წელზე წვრილი ბაწრით და ასე გაანთავისუფლებენ ძირა საცვალსაც, რომ ორიოდე გირვანქა მჭადი კიდევ შეიძინონ. «კომუნისტური ულუფის» სამარა, ტუსაღი ნელნელა ხმება, თვალები უცვინდება, სახე აებურძგლება, კარგავს იმის უნარსაც კი, რომ ხელ-პირი და ფეხები დაიბანოს, მსხვილი ტალახი მაინც მოიშოროს ტანიდან. როცა ის ძვალ-ტყავად ქცეული დიარება ლანდივით, უცბათ ციხიკურ კაბინეტებში მდგარი შეწყობილი ჩონჩხი მოაგონდება. დაბოდიალობენ ეს საცოდავები ციხის ეზოში, (საკნებში მათი ჩაკეტვა ველარ გაუბედავს ვერც კომუნისტების უგულო გულს) და ელრიჭებიან ბედნიერ ტუსაღებს ე. ი. იმათ ვისაც პატრონი რის ვაი-ვაგლახით აწვდის გარედან ლუკმა პურს, უმთავრესად პოლიტიკურებს. სთხოვენ პურის ნატეხებს, ნამცეცებს, ეძებენ და ჭამენ ყველაფერს რასაც ნახვენ ეზოში, სანაგვე ყუთებში, ფეხის ადგილებში.

როცა ჩვენ, ერთი ჯგუფი პოლიტიკური ტუსაღებისა პირველად მოგვიყვანეს ამ ციხეში, საღამო იყო, ტუსაღები უკვე ჩაკეტილი იყვნენ. დილას ადრე გავხსენით პარკები და ვისაუზმეთ. გამოვხვეტეთ საკანი და რადგან ნაგვის გასატანი ჭურჭელი ჯერ არ მოეცათ, იქვე ახლოს ფეხის ადგილში შევხვეტეთ. ამ დროს დერეფანში უკვე იდგენ ნახევრათ ტიტველნი ტუსაღები და გვთხოვდენ პურის ნატეხს. ბევრმა მათგანმა მიიღო მოლოდინზე მეტიც, მაგრამ დერეფანში მათი რიცხვი უფრო და უფრო მატულობდა: როგოც კი აქედან პურის ჭამით გასულს შეხედავდენ, ეზოდან ყველა ჩვენი საკანისკენ გამორბოდა. როცა მათ დაინახეს, რომ ფეხის ადგილში ნაგავი შეეყარეს, რა საც ბევრი წითელი ბოლოკის ფოთლები, კიტრის ნათლები და სხვა ნაფჩხვენები გაჰყოლა, გამგელებული მიცვივდენ და დაუწყეს ამოკრება ყველაფერს, გლეჯდნენ ხელიდან ერთი მეორეს, არ ერიდებოდნენ, რომ დასვრილი იყო, იტენიდენ პირში და ცდილობდენ ახალ ლუკმის შოვნას, რის გამო ერთი მეორე წაქელეს ამ ბინძურ ადგილზე... ამის გამო ერთმა ამხანაგმა ველარ შეიმაგრა ცრემლები. განვლო დრომ.

ყველანი რამოდენიმეთ მივეჩვიეთ ასეთ სურათებს, ყველას ნაკლებათ გვაღელვებს, როცა ეს ბეჩავი ხალხი დაქეთარობს ეზოში, ქექავს ნაგავს და გახარებული იტენის პირში, როცა იპოვნის საზამთროს ან ნესვის ნათალას.

ასეთ პირობებში ავადმყოფობა აუცილებელია. ძვირათაა მათ შორის ჯანმრთელი. ხშირია ფეხებ დასიებული, ტან-დამუწუკებული, დაჩირქებული, ცოცხლად აყროლებული, საშინელი სანახავია და კვდებიან ისევე უწამლოდ, როგორც უპმელობით. საავადმყოფო მეორე ციხეში—ორთაჭალაშია, მაგრამ ვის ეღირსება იქ გადაყვანა. ჯერ საჭიროა ექიმის მოწმობა, რომ საავადმყოფო აუცილებელია (ამის ღირსად თვლიან მას, ვინც ფეხზე ვეღარ დგება) მეორე ეს მოწმობა უნდა წავიდეს ჩეკაში, ხოლო სანამ იქიდან ნებართვა მოვა, მანამ ავადმყოფი უკვე კვდება სადმე საკანის კუთხეში, თუ რაიმე სასწაულის გამო მორჩენა ვერ მოასწრო. აქვთ აქ ამბულატორია, რამდენიმე საწოლით, მაგრამ არავითარი წამლობა და არც გაძლიერებული ულუფა იქ არაა. იქ თუ წვება ვინმე, მხოლოდ იმისათვის, რომ ტახტი და თივის ლეგია, სხვა არაფერი. ხშირად იქ დაკეტილში ყრია ავადმყოფები ისე რომ წყლის მიმწოდებელიც არა ყავთ. ამას წინათ ერთი რკინის-გზელი კონდუქტორი **გორბაჩენკო** ისე მოკვდარიყო, რომ არც კი გაუგიათ. მხოლოდ მეორე დილას, როცა ტუსაღები პირის დასაბანად გამოვიდენ, შეიხედეს ფანჯარაში და დაინახეს საცოდავი ადამიანი მკვდარი, რომელსაც თავი გადაკიდებოდა საწოლიდან...

ამ დასაწყლებულ ხალხს იმის უნარიც აღარ აქვთ, რომ თავი მოიკლან. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ასეთი. ტიტველ-მშიერი, არაქათ გამოლეული ტუსაღი ზედამხედველის ბრძანებით და თანხლებით ნაგავს ყრიდა მტკვარში მეტეხის თვალ-უწვდენელი სიმაღლიდან; მან ნაგავი ჭურჭლიანად გადააგდო კლდეზე და თვითონაც თან გადაჰყვა. დარაჯებმა სროლა აუტეხეს ჰაერში სწრაფად ძირს მიმფრინავ ტუსაღს, მაგრამ რა საჭირო იყო: ამ სიმაღლიდან ფრინველი რომ გადააგდო, ის არ გადარჩება.

შიმშილის გარდა ავადმყოფობას ხელს უწყობს წარმოუდგენელი ანტი-სანიტარული მდგომარეობა. პირველ ხანებში აბანოსაც კი არ აძლევდენ, თუმცა ასეთი არსებობს ციხეში. შემდეგ, როცა პოლიტიკურები მომრავლდენ, ადმინისტრაცია დაითანხმეს, რომ ხანგამოშვებით მაინც აბანო გაათბონ, მაგრამ იმითაც მხოლოდ «მდიდრები» სარგებლობენ, ესე იგი ისინი, ვისაც შეუძლია საპონი თვითონ შეიძინოს. ამავე დროს დემოკლეს მახვილივით თავს დაგვტრიალებს ეპიდემიური ავადმყოფობანი. ხოლერამ თავისი წაიღო და წავიდა. სამაგიეროთ ზამთარში მოსალოდნელია ტიფი, რისთვისაც არავინ არ ზრუნავს.

აი ასეთ პირობებში კომუნისტებმა მართლა გამართეს აქ სკოლა და თეატრი, მისთვის აცდენენ ორ დიდ დარბაზს მაშინ, როცა საკნებში ტუსაღები თევზებივით არიან მიწყობილი ერთი-მეორეზე. სწავლის მსურველი ყველაა და მიდიან კიდეც სკოლაში ახლად მიყვანილი ტუსაღები, ხოლო ივლიან მანამ, სანამ უკანასკნელ სამოსს გაჰყიდის ლუკმა პურისათვის. შემდეგ კი სწავლისთვის არ სცხელა; შიმშილს უნდა ებრძოლოს, ნაგვის ყუთებს უდარაჯოს, ეზოში გამვლელთ მოწყალებისთვის ეღრიჭოს.

ასეთია მეტეხის სავანე. მიუხედავათ ამისა ტუსაღები ციხეს სასტუმროს ეძახიან, ზოგი კიდევ აგარაკს და ეს იმიტომ, რომ სხვა ციხეებში კიდევ უარესი ჯოჯოხეთია. მეტეხის ყველა მცხოვრებთ გავლილი აქვთ წინასწარ ჩეკას «სამოთხე» საიდანაც მოსულს, რომ ეს ჯოჯოხეთი მართლა აგარაკათ ეჩვენოს, საკვირველი არაა. შენ არ შეგიძლია მკითხველო წარმოიდგინო ის საშინელება, რასაც ჩეკა-სატუსაღო წარმოადგენს, ამის სურათს ვერ აგიწერ მე, და ვერც ვერავინ. ჩეკას უზარ-მაზარი შენობიდან ტუსაღებისათვის მხოლოდ სარდაფებია ჩვეულებრივი კამერები. კარგ კამერებად წოდებული, ნახევრად მიწაშია, მასში სინათლე ჩადის ფანჯრებიდან, რომლებიც მიწის სწორაა გარედან. ამ სარდაფ ქვეშ არის კიდევ სხვა სარდაფი, სადაც არის მეორე ნახევარი საკნებისა და სადაც არსაიდან სინათლე არ ჩადის. იატაკი მიწისაა და ისეთი ნოტიო, რომ რამოდენიმე საათის განმავლობაში შინელს ალამბულებს. თვით ზედა სარდაფშიდაც მიწისკენ მყოფი კედელი სულ სოველია, ხოლო შიგნითა კედლებიც საკმაოთ ნოტიოა. რაღა იქნება ამის ქვეშ მყოფ ჯურღმულში! დასაწოლათ არის შიგ დაყრილი რამდენიმე ღერი ფიცარი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ის ყოველთვის არარის საყოფი. ამას ემატება ისიც, რომ საიდანაც გამოდიან შიგ აუარებელი ვირთხები, რომლებსაც იერიში მიაქვსთ ბნელში მყოფ ადამიანზე. დღამება-გათენებას აქ გებულობენ მხოლოდ ელექტრონის საშუალებით. როცა მას საღამოს ანთებენ და გათენებისას აქრობენ.

აი ამ ჯურღმულში ამყოფებენ ტუსაღებს მთელ კვირეებს და ხან კი თვეებსაც და რა გასაკვირალია თუ იქიდგან მოსულს მეტეხი აგარაკად ეჩვენოს. ის კი არა, როცა აქედან ვისმეს ზედა სარდაფში ამოიყვანენ, გონია სამოთხეში ამოვედიო, თუმცა ეს სამოთხე საკმაოთ სველია, შიგ ჰაერი საკმაოდ დახუთულია და ტუსაღები ერთი მეორეზე მიწყობილი არიან. საკანში, რომელიც შეიცავს ოთხი ხუთი კუბ. საჟენ ჰაერს, ათავსებენ 15-30 კაცამდე. კამერები მუდამ დაკლიტულია, ფეხის ადგილში გაყავთ თითო-თითოდ და თუ გაითვალისწინებთ, რომ თითო დერეფანში, სადაც 6-8-მდე საკანია და 100-150 ტუსაღი, მხოლოდ ერთი მორიგე ზედამხედველია, ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ კმაყოფილდება ეს ბუნებრივი მოთხოვნილების საკითხი. ამის გამოა, რომ ზედა სარდაფიდან მოთმინება დაკარგული ტუსაღები ფანჯარაში აქცევენ ხოლმე, ხოლო ჯურღმულში მყოფნი იქვე მიწის იატაკზე, რის გამო ირგვლივ მუდამ სიბინძურე და შმორის სუნია. «სასეირნოთ» დაჰყავთ 5-10 წუთი საღამოს და ასევე დილას გარეთ გასავალად და პირის დასაბანად. ახლა მოპყრობა. მხოლოდ საკატორღო ციხეებში იყო ნიკოლოზის დროს ასეთი ენა. საერთოდ კი ნიკოლოზის ჯალათები ჩეკას კომენდანტებისა, ზედამხედველებისა და ჯარის კაცებთან შედარებათ ზრდილობიან იმერლებათ მოგეჩვენება. უსმენ მათ ლანძღვა-გინებას და დაცინვას და გვიკვირს: რით, რა მანქანებით შესძლეს ამ ხალხის ასე გარყვნა, გაპირუტყვება და გაბოროტება. ჯარის კაცები აქ შერჩეულია, საგანგებო რაზმია ჩეკას განკარგულებაში. ეს რაზმიც და საერთოდ ჩეკას მოსამსახურენი სულ უცხოელებია. ქართული ენა და მიწერ-მოწერა აქ უარ-ყოფილია, მასხარად აგდებულია. ტუსაღმა რომ ქართულად განცხადება დასწეროს, თავმჯდომარის ნახვა მინდაო, კომენდანტი დახვევს, ცვირ-პირში მიაყრის და თან დამტვრეული რუსულით ეტყვის: «ჩვენ დაწესებულებაში ამ ძალლის ენაზე არავინ ლაპარაკობსო»...

ყველა ამას დაუმატეთ ის ზნეობრივი ფიზიკური ტანჯვა-ვაება, რასაც ჩეკას სარდაფებში მყოფნი განიცდიან თითქმის მუდამ ღამე დასახვრეტად ტუსაღთა გაყვანის დროს. ტუსაღები მიეჩვიენ საბედისწერო ხმას საბარგო ავტომობილისას, რომლითაც მიყავთ დასახვრეტი ხალხი წინასწარ გათხრილ სასაფლაოზე მინდორში, ქალაქ გარეთ. როცა ეს ავტომობილი მობრიგინდება ეზოში და ბრიგინობს თავისი მატორით ღამის 1-2 საათზე, ეს უკვე ნიშანია, მსხვერპლს უცდის. ჰო, რა საშინელებაა, რა ჯოჯოხეთია ამ დროს ეს ქვეყანას მოწყვეტილი სარდაფები! როგორი ტანჯული, გაფითრებული და სასოწარკვეთილი სახით მიჩერებიან ერთმანეთს მისი მცხოვრებნი, ავტომობილის ხმაზე რომ დაინახოთ დაფეთებული თვალები!.. ჯერ ყველანი იმის ნატვრაშია—«მე არ მომიწევდეს, მე არ გამომიხებდენო», ხოლო როცა ეს ირკვევა და პირუტყული ინსტიქტი თვით გადარჩენისა გაივლის, მიმავალ მსხვერპლის ღრიალი აღვიძებს მასში ადამიანურ გრძნობას და ეშლება წერვები ამ სანახაობით, მაგრამ არ შიუძლია უშველოს რამე საცოდავს, იქნება სრულიად უდანაშაულოს. მისთვის ხომ არ უკითხავსთ. მას ხომ სასამართლოში არ დაუძახეს, არც კი იცის როდის და როგორ გადაუწყვიტეს, იცის მხოლოდ, რომ მიყავთ დასახვრეტად... ღრიალებენ, ითხოვენ სამართალს, ხოლო ჯალათები დაცინიან; თუ ავათმყოფია, ან კოჭლობს, «ჩქარა მოგარჩენო», ეუბნებიან... მეორე დღეს ტუსაღები ხედავენ, რომელიმე კომენდანტის, ზედამხედველის ან რაზმის წევრთა ტანზე წაყვანილ მსხვერპლთა ტანსაცმელს, ქუდს, ჩექმებს...

ასე მეორდება ეს საშინელი სურათები დღიდან მოსკოვის აქ გაბატონებისა. გაყავთ ჯგუფობით 5, 10, 20, და ხან 50 კაციც. იყო შემთხვევა, როცა 64 კაცი გაიყვანეს ერთად. არავინ იცის როდის გათავდება, ვინ გადაურჩება. გადარჩენილებიც ხომ ცოცხალ-მკვდრებია; ხშირად გამოუძახებენ ამა თუ იმ ტუსაღს, გაიყვანებენ ავტომობილამდის და მოაბრუნებენ. იყო შემთხვევა, როცა წაიყვანეს სასაფლაოზედაც, აყურებიეს სხვების დახვრეტას და მოიყვანეს უკან, შეაგდეს სარდაფში უსიტყვოთ. ამით ეს ჯოჯოხეთის აგენტები ორ კურდღელს იჭერენ: ვისაც არ ხვრეტენ, მათაც სტანჯავენ, ხოლო ვისიც დახვრეტა უნდათ, მას უკარგვენ სურეი-

ლს წინააღმდეგობისას და გაქცევის ცდისას, ვინაიდან არავინ იცის, მართლა ხვრეტენ თუ არა, სანამ არ მოხვდება ტყვია და არ გადაგდებენ მას პირდაღებულ ორმოში. ამის გამოა, რომ წინააღმდეგობას იშვიათი აქვს ადგილი.

აბა მკითხველო, როგორ არ მოეჩვენება აქედან მოსულს აგარაკად ჩვენი მეტეხი: აქ რომ მოვდივართ, გვგონია გაგვიშვეს, თავისუფალი ვართო, ისე ამოვისუნთქებთ ხოლმე განსაკუთრებით პირველ დღეებში, პირველათ ჩეკიდან მოსულ ტუსაღს ვერც კი დაუჯერებია, სიზმარში გონია თავი...

მეტეხს სასტუმროს უძახიან თფილისში მეორე დიდი ციხის ორთაჭალის ტუსაღებიც. ნიკოლოზის დროის შეძენილი გამოცდილების წყალობით ამ დღეებში იქიდან მივიღეთ ერთი ამხანაგის წერილი, სადაც სხვათა შორის გვწერდა: . . . «ჩვენ აქ ციცი წყალიც სანატრელი გვაქვს. უკვე სიცივეები დაიწყო და ვცრიცავართ იატაკზე ფანჯრებ ჩამტვრეულ საკნებში, იატაკი კი ცემენტისაა. ავად გახდები და იმედი არ უნდა გქონდეს საავადმყოფოსი; წამლობას თავი დაანებე, საჭმელსაც არ გაძლევენ, ჩვეულებრივი «კომუნისტური ულუფა» არის იქაც და მეტი არაფერი. პირდაპირ ომი გვაქვს სიკვდილთან, ომი უთანასწორო და მსხვერპლიც დღითი დღე მატულობს. ერთი ვირის ტაჩკა აქვსთ სპეციალურათ ამ საქმისათვის და ძლივ უდის. ეჰ, ისევ ჩვენი ვირი. მხოლოდ ამ პირუტყვს აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა: მუდამ მზათაა, გაბმულია; წაიღებს ერთს, დატოვებს სასაფლაოზე და მოდის დაღონებული, თითქო ტირისო (არავინ იცის მხოლოდ ხალხს სტირის თუ თავის ჯანს); მოვა საავადმყოფოს კარებთან, მოაბრუნებს «ტაჩკას» და შემოსძახებს თავისებურ მაღალ ხმაზე, ორთაჭალის ჰანგებზე, თითქო მსახურთ უძახის—გამოიტანეთ ვისიც რიგიაო, ან იქნებ ტუსაღებს ამხნევებს, —ნუ გეშინიათ, არც თქვენ დაგტოვებთო.

ვირი მაინც უყვარსთ ტუსაღებს და ნატრობენ: ნეტა საავთმყოფოს ქონდეს ასე შეგნებული თავის დანიშნულება, მაშინ საწყალ ვირსაც ნაკლები ჯაფა ექნებოდაო.

აი მკითხველო, ასეთია ჩვენი «კომუნისტური სავანენი» ასე ასრულებენ კომუნისტები ყველა დეკლარაციებს.

გაუტეხელი.

5 ოქტომბერი 1921 წ.
მეტეხის ციხე, თფილისი.

ცნობები საქართველოდან.

(საკ. კორესპოდენ.)

ორ ოქტომბერს მოხდა ქ. ახალ-სენაკის და თეკლათის საზოგადოების მომხმარებელ საზოგადოება «კოოპერატივ ნდობის» წევრების წლიური კრება ანგარიშების განსახილავად. კრებამ ძველი გამგეობის (სოც.-დემ.) მუშაობა მოიწონა და ანგარიშები ერთხმად დაამტკიცა. ახალი გამგეობის არჩევნების დროს ბოლშევიკებმა მოინდომეს თავისი კანდიდატების გაცვანა გამგეობაში და კიდევაც დაასახელეს კანდიდატებათ თავიანთი «მძიმე არტილერიის» შემადგენლობა; მაგრამ დახე მათ უბედურებას საჴაზრო «ჩეკის», რევკომის და «პრტკომის» წევრები ხალხმა გააშავა და ერთხმად აირჩია გამგეობაში სოც.-დემოკრატების კანდიდატები.

გეჯეთის თემში (სენაკის მაზ.) ბოლშევიკების შემოსვლისთანავე ადგილობრივმა (რევკომმა» ჩამოართვა ხალხს «კოოპერატივი» და თავის საწყობათ გამოაცხადა. (ასეთ მაგალითებს ჰქონდა ადგილი სენაკის და ზუგდიდის მაზრის თემებში ეკის, ხორშის, გეჯეთის და სხვა თემებში). ექვსი თვის განმავლობაში ბოლშევიკების ხელში «კოოპერატივის» ქონება გაიფლანგა, იმავე დროს მოსამსახურეებს 5 თვის შრომის ჯილდო ერთი კაპეიკი არ მისცეს და ისე იმსახურეს. მოთმინებიდან გამოსულ მოსამსახურეებმა რევკომს შრომის ჯილდო მოსთხოვა. «კოოპერატივის» ქონება უკვე გაფლანგული იყო, მოიწვიეს დავიჭებული წევრების კრება ექვსი თვის შემდეგ ორ ოქტომბერს და გამოუცხადეს; ჩაიბარეთ გაცალიერებული «კოოპერატივი» და მოსამსახურეებიც დაკმაყოფილეთ ჯამაგირითო. კრებამ განაცხადა: ქონება და ფული თქვენ შეჭამეთ, თქვენ ჩამოგვართვით კოოპერატივი და თქვენ იმსახურეთ მოსამსახურენი და თქვენვე გაისტუმრეთო. ამის გამო დაიჭირეს სამი სოც.-დემოკრატი და ორი უბრალო მიწის მუშა და თავი უკრეს სამაზრო «ჩეკის» ბნელ-ნესტიან სარდაფში. ხალხმა კი აღელვებული დასტოვა კრება და განაცხადა: შემდეგში არ მოვალთ კრებაზეო.

სენაკის მაზრის მუშა-მოსამსახურენი საშინელ გაჭირვებას განიცდიან. თვიური ჯამაგირი 18—40 ათას მანეთს არ აღემატება და ეს მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ როდესაც ბაზარზე მჯადის ფქვილი 100,000 მანეთია. ჯამაგირს თავის დროზე ვერ ღებულობენ, ამავე დროს სამსახურის თავის დანებება შეუძლებელია. ამისთვის როგორც «საბოტაჟნიკს» და «კონტრ-რევოლიუციონერს» დაგსჯიან.

ვინც კონტრიბუცია არ გადაიხადა «ჩეკის» სარდაფში ამოაყოფიეს თავი. გაჭირვებული ხალხი, რომელთაც რუსის წითელმა ჯარებმა წაართვა ყველაფერი, კონტრიბუციას ვერ იხდის. აკრეფილი ფული უკანტროლოთ იხარჯება და უცხოელების ჯარს ხმარდება. რაოდენობა გადასახადის უდრის 450 მილიონ მანეთს. ამას გარდა შემოსვლისას 30 მილიონი მან. უკვე გადაახდევინეს მაზრის მცხოვრებლებს და ეს მაშინ, როცა გაძვალტეკვებული ხალხი შიმშილით სულს ღაფავს.

სამეგრელოში დიდი გვალვების შემდეგ ეკენისთვის შუა რიცხვებიდან საშინელი წვიმებია და თან სიცივე. ნათესი ნაგვიანები იყო, წვიმებმა და სიცივემ კი სრულიად გაანადგურა. სამეგრელოში საშინელ შიმშილობას განიცდის ეხლავე ხალხი, მომავალი პრესპექტივები კიდევ უარესია. ხსნა არსაიდან არის. ადგილობრივი რევკომი პირდაპირ დასცინის ხალხს «ცოტა ჭამეთ და დაეხმარეთ დამშეულ რუსეთს, რომელმაც გიხსნათ მენშევიკების ბატონობისაგანო». ამავე დროს შეუდგენ სასურსათო გადასახადის კომპანიას. ხალხი ძლიერ უკმაყოფილოა და სულს ღაფავს ამდენ გადასახადებში.

სამეგრელოში ყაჩაღობა თანდათან მატულობს. გადავარდნილი ყაჩაღები თითქმის ყველა «კომუნისტების» პარტიის წევრები, მილიციონერები და რევკომის ყოფილი წევრებია. ადმინისტრაცია უძლურია მათთან ბრძოლაში.

სამეგრელო თითქმის მოწყვეტილია ცენტრიდან, რკინის-გზით მიმოსვლა ძლიერ შეფერხებულია და თან ძლიერ ძვირია ბგზავრობა. სენაკიდან თფილისამდის ბილეთი ღირს 76,000 მან. პირველ ხანებში რევკომს მოსდიოდა გაზეთები და ქუჩებზე აკრავდენ, ხოლო მათი გაზეთის უმეტესობა რუსულ ენაზე იყო დაწერილი, შიგ მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის და მენშევიკების გინების მეტი არაფერი იყო, სხვა ცნობებს კი გაზეთებში ვერ ნახავდით. ხალხი ყურადღებას არ აქცევდა და არც კი კითხულობდა მათ. ამის გამო ბოლშევიკებმაც მიატოვეს გაზეთების ქუჩებში გამოკვრა. პროვინცია მოწყვეტილია ყველაფერს და რა ხდება საერთოთ ქვეყანაზე ხალხმა არ იცის. შავი ზღვის რკინის-გზაზე მოძრაობა შეწყდა. ეტლები და ბილიჟნები საღაც გაჭრენ, ვაჭრობა-მრეწველობა მოისპო. ცოცხალი, მოძრავი სამეგრელო სასაფლაოს დაემზგავსა.

სკოლებში სწავლა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. რუსის ჯარებისგან სკოლები სრულიად გაპარტახებულია, მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. ქართული სახელმძღვანელო წიგნების გამომცემლობა არ არსებობს. რვეულები, საწერ-კალამი და სხვა სახელმძღვანელოები არ იშოვება.

ახალ-სენაკში რუსის ჯარის ერთი პოლკი სდგას. რომელთა რაოდენობა არ აღემატება 500 კაცს. ისინი სოფლებს აწუხებენ. ხშირია ქურდობა.

ხალხის სულიერი განწყობილება ანტი-ბოლშევიკურია. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება, წინეთ თუ ხალხში რუსეთს კიდევ ჰქონდა სიმპატია, ეხლა მან სრულიად დაჰკარგა ყოველგვარი ნდობა და პატივისცემა. კომუნისტები გამდიდრებას პირდებიან ყველას, ვინც კი ჩაეწერება მათ პარტიაში, ყოველგვარი ბეგარისაგან და გადასახადებისაგან ანთავისუფლებენ მათ, აგრეთვე სურსათს, ტანსაცმელს პირდებიან სხვის ხარჯზე, მაგრამ მათ პარტიაში გარდა ქურდ-ყაჩაღებისა და ზნეობრივად გახრწნილებისა, არავინ ეწერება. ხალხი ქართველ ბოლშევიკებს ყველას სამშობლოს გამყიდველებს ეძახის, ეხლა ბოლშევიკებიც კარგად გრძნობენ თავიანთ მდგომარეობას, მაგრამ რა ქნან არ იციან. სამეგრელოში ბოლშევიკები თითზე ჩამოსათვლელი არიან და ისინიც თანდათან ქრებიან. პირიქით სოც.-დემ. პარტიის სიყვარული ხალხში ძლიერ დიდია და დღითიდღე იზრდება. ასეთი გავლენა სოც.-დემ. პარტიას სამეგრელოში, როგორიც მას დღეს აქვს, თავის დღეში არ ჰქონია. ხალხი ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამტკიცებს; კრებებზე, მიტინგებზე, არჩევნებში, დატუსაღებულ სოც.-დემოკრატების დახმარებაში და სხვა მხრივ. აგრეთვე ძლიერ თვალ-ყურს ადევნებს საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგების მუშაობას, დიდ იმედით შესცქერის მომავალს და სწამს, რომ სა-

F 1294/4 1922

ქართველო კვლავ აღადგენს თავის დამოუკიდებელ არსებობას.

რეპრესიები სამეგრელოში სოც.-დემ. წინააღმდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს. ბევრი ამხანაგი ტყეში იმალება, ბევრმა სხვა მაზრებს და ქალაქებს შეაფარა თავი, ზოგი კი ციხეებშია. დაჭერილ ამხანაგებს არავითარ ბრალდებას არ უყენებენ და არც ციხეში ჯდომის დროს აქვთ განსაზღვრული. X.

სამეგრელო, 7 ოქტ. 1921 წელი.

საქართველო-ს ამბები.

საბჭოების არჩევნები. დეკემბრის პირველ რიცხვებში დასრულდა თფილისისა და ბათუმის «მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპ. საბჭოების» არჩევნები. როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ არჩევნები ჩატარდა სრული ბოლშევიკური ძალმომრეობით. არავის სიის წამოყენების ნებას არ აძლევდენ გარდა კომუნისტებისა, ალაპარაკებდენ მხოლოდ წინასწარ დანიშნულ ბოლშევიკ ორატორს და მერმე თითის აწევით «ირჩევდენ» თავის კანდიდატებს. ზოგან ბოლშევიკების კანდიდატები იღებდენ 200 ხმიდან მხოლოდ 8-10 ხმას. ასე მოხდა მაგალითად განათლების დარგში, სადაც ცნობილი ყოფილი ხუცესი ბრიხნიჩევი და დღეს საქართველოს განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრი, თავის ხელქვეითებს ეუბნებოდა— მე მოგეცით ხმაო. მიუხედავათ იმისა, რომ აქ კომუნისტების კანდიდატებმა 17 ხმა მიიღეს, მაინც ისინი გამოაცხადეს არჩეულათ. ასევე მოხდა დაახლოებით სხვა დარგებშიაც.

გარდა სოც.-დემოკრატებისა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს სოც.-ფედერალისტებმა, სოც.-რევოლიუციონერებმა, «სხიველებმა» და ნაციონალ-დემოკრატებმა.

ბოიკოტი ბრწყინვალეთ ჩატარდა და შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ გარდა თითო-ოროლა კომუნისტმოღალატისა და ღლონტის ჯგუფისა, მასში ქართველ ხალხს მონაწილეობა არ მიუღია.

ღლონტის ჯგუფს ბოლშევიკები წინდაწინ შეუთანხმდენ და თფილისის მუშათა საბჭოში ათი ადგილი მისცეს.

თფილისის «მუშათა დეპუტატების საბჭოს» თავმჯდომარეთ აირჩიეს ლ. დუმბაძე, ბათუმის —თ. ქლენტი. დაწერილებით შემდეგ ნომერში.

ღლონტის ჯგუფი. ეს ჯგუფი თითქმის სავსებით გაბოლშევიკდა, იგი მემარცხენე ფედერალისტების სახელს ატარებს მიტომ, რომ ეს ფირმა დეკორაციისთვის ეჭირვებათ ბოლშევიკებს. ამის გამო ღლონტს თანდათან აკლდება მომხრეები. უკანასკნელათ მას ვ. კოტეტიშვილიც ჩამოშორდა. თვით თედო ღლონტი ამ ჟამათ მოსკოვშია. იგი ბოლშევიკებმა სხვებთან ერთათ გაგზავნეს საბჭოების ყრილობაზე.

სვანეთის გარშემო. სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ ბოლშევიკებმა სვანეთის წინააღმდეგ ბრძოლა შეაჩერეს და ჯარებს იქით აღარ გზავნიან. აჯანყებულთ ძლიერ კარგათ უჭირავთ თავი და მტერს არ უშვებენ. სამეგრელოს კომუნისტური რაზმი, რომელიც სვანების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი, სად დაიკარგა არ იციან.

ძველი საქმეებისთვის. ოსეთის რევკომისა და ჩეკის მოთხოვნილებით საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა «გორის ამბების» გამოძიებას, რისთვისაც რამდენიმე კაცი უკვე დაატუსაღეს.

რეპრესიები სოფლათ. საქართველოდან გვატყობინებენ, რომ ბოლშევიკები «ბანდიტების» წინააღმდეგ ბრძოლის სახელით განაგრძობენ სოფლების აწიოკებას. გურიაში აიკლეს რამდენიმე სოფელი და გაქცეულთა ქონებას კონფისკაცია უყვეს. სოფ. ხიდისთავში სახლიდან გააგდეს და მთელი ქონება ჩამოართვეს გურიაში ცნობილ ძველი რევოლიუციონერის და გვარდიის ყოფილ ხელმძღვანელის მათითაისშვილის დედ-მამას.

ფ. მახარაძე. საქართველოს ერის ცნობილი მოღალატე ფ. მახარძე თავისი ცოლშვილით მოსკოვში გაუწვევიათ. ამბობენ, რომ იგი გადაასახლეს საქართველოდან პარტიაში ინტრიგის წარმოების გამოო.

ახალი წიგნი. სტამბოლში დაიბეჭდა და გამოიცა ფრანგულ ენაზე ახალი წიგნი «ბოლშევიკების ახალი ბოროტება საქართველოში». წიგნში დაწერილებით არის აწერილი და ფაქტებით დასაბუთებული თუ როგორ ახდენენ არჩევნებს ბოლშევიკები საქართველოში.

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის წინა ნომრის საქართველოს ამბებში დაიბეჭდა «სოვნარხოზის შენობაში **არაქელას** მეთაურობით გამოცხადდა კომუნისტთა ჯგუფი», უნდა იყოს **ავაქოვის** მეთაურობით და სხვა.